

სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია  
პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო აკადემია  
იურიდიკულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES  
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT  
INTERNATIONAL ACADEMY OF JURIDICAL SCIENCES

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК  
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА  
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

## სახელმწიფოს ეფექტური გართვის პრობლემები

XXIX საერთაშორისო საეთნოლო  
კონფერენციის მასალები

## PROBLEMS OF EFFECTIVE MANAGEMENT OF STATE

*MATERIALS OF XXIX INTERNATIONAL  
SCIENTIFIC CONFERENCE*

# ПРОБЛЕМЫ ЭФФЕКТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ ГОСУДАРСТВОМ

*МАТЕРИАЛЫ XXIX МЕЖДУНАРОДНОЙ  
НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ*

(22.02.2018)

თბილისი  
Tbilisi თბილისი  
2018

შავ (UDC; УДК) 1+32+33+34+35

ს-366 Р-93 П-781

სახელმწიფოს ეფექტური გართვის პრობლემები.

XXIX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გასაღები (22.02.2018).

თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2018. – 94 გვ.

## PROBLEMS OF EFFECTIVE MANAGEMENT OF STATE.

*MATERIALS OF XXIX INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE (22.02.2018).*

Tbilisi: International Publishing House “Progress”, 2018. – 94 p.

## ПРОБЛЕМЫ ЭФФЕКТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ ГОСУДАРСТВОМ.

*МАТЕРИАЛЫ XXIX МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ (22.02.2018).*

Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2018. – 94 с.

### კონფერენციის სამრგვაცხადო კომიტეტი:

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თავმჯდომარე  
ირაკლი გაბისონია (თბილისი, საქართველო) – თანამდებობა  
ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თანამდებობა  
ედუარდ კორიცკი (ჰამბურგი, გერმანია) – წევრი  
სლავომირ პარტიცკი (ლუბლინი, პოლონეთი) – წევრი

### ORGANIZATION COMMITTEE OF THE CONFERENCE:

ALFRED KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CHAIRMAN

IRAKLI GABISONIA (TBILISI, GEORGIA) – CO-CHAIRMAN

ANZOR KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CO-CHAIRMAN

EDUARD KORITSKY (HAMBURG, GERMANY) – MEMBER

SLAWOMIR PARTYCKI (LUBLIN, POLAND) – MEMBER

### ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТ КОНФЕРЕНЦИИ:

АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА

ИРАКЛИЙ ГАБИСОНИЯ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – СОПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА

АНЗОР КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – СОПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА

ЭДУАРД КОРИЦКИЙ (ГАМБУРГ, ГЕРМАНИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА

СЛАВОМИР ПАРТИЦКИЙ (ЛЮБЛИН, ПОЛЬША) – ЧЛЕН КОМИТЕТА

### სამეცნიერო რედაქტორი – ალფრედ კურატაშვილი

SCIENTIFIC EDITER – ALFRED KURATASHVILI

НАУЧНЫЙ РЕДАКТОР – АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ

### რევიუების კომიტეტი:

ალფრედ როკეტლიშვილი (ნიუ-იორკი, აშშ) – მეცნ. დოკტორი, პროფ., აკადემიკოსი

ოქსანა სოლდათენკო (კიევი, უკრაინა) – მეცნ. დოკტორი, პროფ., აკადემიკოსი

### REVIEWERS:

MIKHAIL ROKETLISHVILI (NEW YORK, USA) – DOCTOR OF SC., PROFESSOR, ACADEMICIAN

OKSANA SOLDATENKO (KIEV, UKRAINE) – DOKTOR OF SC., PROF., ACADEMICIAN

### РЕЦЕНЗЕНТЫ:

МИХАИЛ РОКЕТЛИШВИЛИ (НЬЮ-ЙОРК, США) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК

ОКСАНА СОЛДАТЕНКО (КИЕВ, УКРАИНА) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК

© ალფრედ კურატაშვილი, 2018

ALFRED A. KURATASHVILI, 2018

АЛЬФРЕД АНЗОРОВИЧ КУРАТАШВИЛИ, 2018

ISBN 978-9941-9454-4-1

უაგ 1+32+33+34+35

### **ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
(სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), საჯარო სამართალი),  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი”-ს და საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები”-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი,  
სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი,  
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ  
მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდგილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## **მოსამართლის პრიმინისტრი ქადაგის გენერალური და საჯაროდ გამოცხადება – დაფიქსირება – უდანაშაულობის პრეზუმაციის პრინციპის არ ეფინააღმდეგება ... (?!)**

**უდანაშაულობის**

**პრეზუმაციის პრინციპი**

**არ უნდა გავრცელდეს იმ თანამდებობის პირებზე,**

**რომლებიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის**

**სისხლის სამართლის პასუხისმგებაში**

**არ მიეცემან (?!)**

სასამართლო სისტემაში და მთლიანად სახელმწიფოში სამართლიანობის  
მიღწევა და დამკვიდრება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ სახელმწიფოს  
კონსტიტუციით და სხვა სათანადო კანონებით იარსებებს კანონსაწინააღმდეგოდ  
და სრულიად უსამართლოდ “დაკანონებული” “იმუნიტეტი” მოსამართლის  
დანაშაულებრივ ქმედებაზე (ქმედებებზე), და სანამ ჩემს მიერ შექმნილი –  
თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების  
პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის [1; და სხვა] საფუძველზე, და აღნიშნული  
თეორიის შესაბამისად ჩემს მიერვე შექმნილი სამართლებრივი მექანიზმების  
მიხედვით, არ იქნება განსაზღვრული და ამოქმედებული სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობა მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი  
(კრიმინალური) – გადაწყვეტილების მიღებისათვის (?!).

უფრო მეტიც, იურისტებმა, და, მით უმეტეს, შესაბამისმა თანამდებობის  
პირებმა უნდა გააცნობიერონ და აღიარონ, რომ კრიმინალური ვითომდა

“სამართლებრივი” “ნორმებით” მოსამართლის “გაღმერთება” და მისთვის კანონსაწინააღმდეგო დამოუკიდებლობის მინიჭება – ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია (?!).

ზემოაღნიშნული ვითარების გაუცნობიერებლობა, მასზე “თვალის დახუჭვა” და მისი ვერდანახვა (ან ვითომდა ვერდანახვა), სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, სამარცვინოზე სამარცვინოა (?!).

\* \* \*

ამრიგად, სასამართლო სისტემაში, და, მასთან ერთად, სახელმწიფოში – სამართლიანობის მიღწევისა და დამკვიდრების პრობლემას არაფერი არ ეშველება მანამ, სანამ ლაპარაკი იქნება მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე, და სანამ – ზოგჯერ უსამართლოდ და კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” “სამართლებრივი” “ნორმების” “საფუძველზე” “რეფორმების” ჩატარების ნაცვლად, სათანადო თანამდებობის პირები “არ გააცნობიერებენ” შემდეგს:

ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპის დამკვიდრებისათვის, “რჩეულთათვის” ეგრეთ წოდებული “იმუნიტეტის” მინიჭებით გამოწვეული კანონის წინაშე არსებული უთანასწორობისა და მიღიონობით ადამიანის დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის – უმთავრესია მოსამართლისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების დაკანონება, მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებისათვის.

მაშასადამე, სასამართლო სისტემაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას ვითარება, როდესაც მოსამართლეს გააჩნია მხოლოდ დამოუკიდებლობა და უფლებები – ამ უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობის გარეშე (?!).

\* \* \*

უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირი, უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპის შესაბამისად, უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ, და სანამ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში.

კერძოდ, მავალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

“1. პირი უდანაშაულოდ ითვლება, გიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით” [2].

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამართლებრივი ნორმა საერთოდ მისაღებია, აუცილებლად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ, კერთი, უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპის დაცვა სავალდებულოა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ხოლო ყველა სხვა ადამიანს, რომელსაც

უდავო მტკიცებულება გააჩნია, შეუძლია თავისი პასუხისმგებლობით ამხილოს დამნაშავე, რაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის ინფორმაციის წყარო უნდა გახდეს, რომელიც სათანადო რეაგირებას საჭიროებს, და, მეორეც, პრინციპულად მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს აქ აგრეთვე იმაზე, რომ თუმცა აღნიშნული სამართლებრივი ნორმა [2, მე-5 მუხლის პირველი ნაწილი], ერთი შეხედვით – ანუ ზედაპირულად – თითქოს არავითარ დავის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ მას სიღრმისეულად გავაანალიზებთ, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით მივალთ მეცნიერულად დასაბუთებულ შემდეგ ლოგიკურ დასკვნამდე:

მოსამართლის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების, ანუ მის მიერ კრიმინალური ქმედების მხილება და საჯაროდ გამოცხადება – საჯაროდ დაფიქსირება – უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპს არ ეწინააღმდეგება, რამეთუ, უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპი არ უნდა გავრცელდეს იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო – ანუ კრიმინალური – ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემიან (?!)

\* \* \*

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, მავალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით [3, მუხლი 7], ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით [4, მუხლი 14], და ა.შ., ასევე სახელმწიფოთა კონსტიტუციებით, მავალითად, საქართველოს კონსტიტუციით [5, მუხლი 14], რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით [6, მუხლი 19], უკრაინის კონსტიტუციით [7, მუხლი 24], გერმანიის კონსტიტუციით [8, მუხლი 3], საფრანგეთის კონსტიტუციით [9, მუხლი 1], იტალიის კონსტიტუციით [10, მუხლი 3], და ა.შ., აღიარებულია – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა.

ამასთან დაკავშირებით, პრინციპულად მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შემდეგზე:

სწორედ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპის უხეშ დარღვევას, მიღლიონობით ადამიანის დისკრიმინაციას და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს ის ანტისამართლებრივი ფაქტი, რომ მოქმედი “კანონმდებლობის” თანახმად მოსამართლე არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას საერთოდ, და, მათ შორის, კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის, რაც – ანუ მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – უდავოდ კრიმინალურ ქმედებას წარმოადგენს, მაგრამ რაც, “რატომდაც”, დანაშაულად “არ ითვლება” (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

\* \* \*

იურიდიულ მეცნიერებაში და პრაქტიკაში, ხალხის ინტერესების უზენაესობიდან [11; და სხვა], ანუ ყოველი ადამიანის ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე – უდავოდ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ იმ პირობებში, როდესაც მოქმედი “კანონმდებლობის” თანახმად მოსამართლე არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლებრივი დასჯადი დანაშაულებრივი ქმედებისათვის – მის მიერ კანონსაწინააღმდევო გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ვადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად ვაძლენებისათვის – სასამართლო ვერანაირად ვერ შეძლებს, რომ მოსამართლე, რომელმაც კანონსაწინააღმდევო – კრიმინალური – გადაწყვეტილება მიიღო, სცნოს დამნაშავედ, რაც აშკარა წინააღმდევობაშია ცივილიზებულობასთან – ცივილიზებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან (?!).

ამასთან, აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ ასეთი “კანონმდებლობის” არსებობა წარმოადგენს დანაშაულებრივად “დაკანონებულ” ეგრეთ წოდებულ “კრიშას” («Криша») მოსამართლის კრიმინალური ქმედებების “გასათეთრებლად” და მოსამართლის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან დასაცავად – პასუხისმგებლობის ასაცილებლად, რაც აშკარა წინააღმდევებობაშია კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობასთან და წარმოადგენს მიღლიონობით ადამიანის დისკრიმინაციას – წარმოადგენს იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ (?!).

მაშასადამე, იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეს სრულიად უსამართლოდ და კანონსაწინააღმდევოდ “დაკანონებული” და მინიჭებული აქვს “ყველაფრის უფლება” (სწორედ “ყველაფრის უფლება”, რამეთუ შეუძლებელია სხვა რამე ეწოდოს მოსამართლის “აღვირახსნილ” – “სრულ” – დამოუკიდებლობას, მის უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობის არსებობის გარეშე), ანუ იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს კონსტიტუციით და სხვა კანონებით დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, უდანაშაულობის პრეზუმუცია არ შეიძლება იყოს და ვერ იქნება დაბრკოლება დამნაშავე მოსამართლის კრიმინალური “გამოცხადებისათვის” – მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდევო გადაწყვეტილების გამო (?!).

ხომ სადაც არ არის, რომ მოსამართლეს კანონსაწინააღმდევო გადაწყვეტილების მიღების, ანუ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად ვაძლენების, არავითარი უფლება და უფლებამოსილება არ გააჩნია, მაგრამ ამისათვის – კანონსაწინააღმდევო გადაწყვეტილების მიღებისათვის – მოსამართლე არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, თუმცა აღნიშნული ქმედება უნდა კვალიფიცირდებოდეს სწორედ როგორც კრიმინალური ქმედება, რომელიც უნდა იწვევდეს შესაბამის იურიდიულ შედეგებს... (?!).

ამრიგად, მიუხედავად აშკარად კრიმინალური ქმედებისა მოსამართლის შერიდან, რომელმაც მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, აღნიშნული მოსამართლე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სასამართლოს მიერ ვერ იქნება “გამოცხადებული” – შეუძლებელია იყოს აღიარებული – კრიმინალურ, რამეთუ მოსამართლე მიცემულიც კი ვერ იქნება სისხლის სამართლის პასუხისმგებაში (?!).

თუმცა, მავალითად, კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება ამა თუ იმ საქმეზე, კვალიფიცირებული უნდა იყოს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის კრიმინალური ქმედება და ა.შ., ისევე, როგორც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იწვევდეს ანალოგიურ შედეგებს პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარებულია, რომ სახელმწიფოში სასამართლოების მიერ მიღებული იყო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, უნდა იწვევდეს ასეთივე შედეგებს სახელმწიფოს შიგნით სამივე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ.

ამასთანავე, გარდა ზემოთ ხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა, არსებობს აგრეთვე სხვა სამართლებრივი მექანიზმები, რომლებითაც დადასტურდება არაერთი მოსამართლის მიერ გამოტანილი კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილების არსებობა (?!).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპი არ შეიძლება იყოს და არც უნდა გახდეს დაბრკოლება იმ მოსამართლის კრიმინალად “გამოცხადებისათვის”, და მასთან დაუნდობელი სამართლებრივი ბრძოლისათვის, რომელმაც მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომ აღარაფერი ვთქვათ იძახე, რომ ასეთი მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს “შეკვეთილი” სასამართლო სისტემიდან, ანუ ეს უნდა მოხდეს მანამ, სანამ აღნიშნული მოსამართლის – როგორც კრიმინალის – მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული იქნება გამამტყუნებელი განაჩენი... (?!).

\* \* \*

ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ისეთი ფაქტების არსებობას, როდესაც მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობით გათავსედებულ ამა თუ იმ მოსამართლეს გამოაქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომლითაც ის ლახავს უდანაშაულო ადამიანის უფლებებს – კრიმინალების მხარდაჭერის მიზნით, რითაც აღნიშნული მოსამართლე კრიმინალური ქმედებების აქტიური თანამონაწილე ხდება, რაზედაც მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, და რაც “სტიმულს აძლევს” ამ მოსამართლის შემდგომ კრიმინალურ ქმედებებს (?!).

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფობაზე “იმუნიტეტი” არავის არ ავნებს, არავის არ აყენებს ზიანს და, პირიქით, ეს “იმუნიტეტი” მხოლოდ იცავს ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, რაც სრულიად სამართლიანი კონსტიტუციური მოთხოვნაა, რამთუ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად – “სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი” [5, მუხლი 15, პუნქტი 1].

**ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, მოსამართლის “იმუნიტეტი” ფაქტობრივად წარმოადგენს “იმუნიტეტს” მოსამართლის დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც სრულიად დაუშვებელია, რადგან, კერ ერთი, მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება ზიანს აყენებს ადამიანს და ლახავს მრავალი ადამიანის უფლებებს, მეორუც, “იმუნიტეტი” დანაშაულებრივ ქმედებაზე იწვევს მოსამართლის შემდგომში კრიმინალური ქმედებების “წახალისებას”, და, მესამეც, ამ “იმუნიტეტით” ირლვევა ყველა ადანიანის თანასწორობა კანონის წინაშე, და ეს “იმუნიტეტი” იწვევს მიღიონობით ადამიანის დისკრიმინაციას – იწვევს იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებსაც არ უკავიათ სახელმწიფოებრივი თანამდებობები.**

\* \* \*

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ თუმცა უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპი ვერ იქნება დაბრკოლება კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის მხილებისა და კრიმინალურ “გამოცხადებისათვის”, რის შედევადაც უდავოდ უნდა მოხდეს ამ მოსამართლის “მოკვეთა” სასამართლო სისტემიდან, მაგრამ, ამავე დროს, ასეთ მოსამართლეს ვერ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ვერ აღმოჩნდება ის “გისოსებს” მიღმა მანამ, სანამ სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) და, შესაბამისად, სხვა კანონებით დაუშვებელი – აკრძალული – იქნება კრიმინალი მოსამართლისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება (?!).

ხოლო კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის, სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევისა და დამკვიდრების აუცილებელ – თუმცა არასაკმარის – პირობას წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიმღები, ანუ უდავოდ კრიმინალი მოსამართლისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დაკანონება და კანონის რეალური იმპლემენტაცია.

კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის დაკანონების აუცილებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც, როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის დაფარვაც კი სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულებრივი ქმედებაა [12], მოსამართლე, მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ კრიმინალური ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში არ მიეცემა (?!).

\* \* \*

სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გადაუდებელი გადაჭრის გზების ძიების მიზნით, სრულიად ლოგიკურად ისმის კითხვა:

რა სამართლებრივი მექანიზმებით უნდა განხორციელდეს მოსამართლისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მის მიერ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილების მიღებისათვის და/ან დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის?!

\* \* \*

სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის დამკვიდრებაში, როგორც მრავალჯერ გამიმახვილებია ამაზე ყურადღება, განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ხელისუფლებამ, რომელიც უნდა იდგეს ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვის სადარაჯოზე!!!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეს, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივ თანამდებობრივ პირებს, აუცილებლად უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მის მიერ თავისი უფლებების გამოყენებაზე – სასამართლო ხელისუფლება პასუხს უნდა ავებდეს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, ის პასუხს უნდა ავებდეს თავის დანაშაულებრივ ქმედებებზე – მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლის არაურთი ფაქტიც არსებობს, და რაც მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას და მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ანუ მოსამართლის მხრიდან სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს, რაზედაც მას პასუხი საერთოდ არ მოეთხოვება (?!).

\* \* \*

აქევე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებში მოღვაწეობს მრავალი ღირსეული – კომპეტენტური, პრინციპული და სამართლიანი – მოსამართლე, რომელიც აღბათ არავისთვის, არაფრისთვის და არავის ზეგავლენით არ მიიღებს კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივ – გადაწყვეტილებას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტებს თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, რისთვისაც ის მხოლოდ მაღლობას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მოსამართლე ასეთი არ არის (?!).

\* \* \*

მოსამართლის უფლებებთან დაბალანსებული მისი შესაბამისი პასუხისმგებლობის არარსებობის ერთ-ერთ აშკარა მაგალითს წარმოადგენს თუნდაც შემდეგი სრულიად გაუმართლებელი ვითომდა ”სამართლებრივი”, მაგრამ ფაქტობრივად დანაშაულებრივი უსამართლობა:

თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, უფლება აქვს და ვალდებულიც არის, რომ მიიღოს მხოლოდ კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, ზოგჯერ ეს მოსამართლე იღებს აშკარად

კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალურ – გადაწყვეტილებას, რაც მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომელიც ლაპავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს, და რაც არცთუ იშვიათად შემდგომში დასტურდება ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილების მიღების უდავო ფაქტს წარმოადგენს (?!).

მოუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა, რადგან „მიჩნეულია“ და „ითვლება“, რომ თითქოსდა მოსამართლეს „შეცდომის“ დაშვების (ფაქტობრივად კი, დანაშაულის ჩადენის) უფლება აქვს, რასაც თითქოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლო „გამოასწორებს“ (?!).

უფრო მტკიც, „ზოგიერთს“ მიაჩნია, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს „შეცდომები“, ფაქტობრივად კი, დანაშაულებრივი ქმედებები „გამოასწოროს“ (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

ამასთანავე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს და ზოგჯერ ნამდვილად ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას სააპელაციო (მეორე ინსტანციის) სასამართლოში, და აგრეთვე საკასაციო (მესამე ინსტანციის) სასამართლოში (?!).

თუმცა, სამწუხაროდ, ამ შემთხვევებშიც არავის – იმ მოსამართლეთაგან, რომლებიც იღებენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რაც სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან და მოვალეობებთან – მიღონ მხოლოდ კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტილებები (?!).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აქ ის გარემოება, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფაქტობრივად წარმოადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღების აღიარებას, რაც უნდა კვალიფიცირდებოდეს სწორედ როგორც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, როგორც მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, და, შესაბამისად, როგორც ამ მოსამართლის მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღება, და რაც უნდა წარმოადგენდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის ბრალდების წაყენების საფუძველს და ფაქტობრივად უნდა წარმოადგენდეს საბრალდებო დასკვნასაც კი.

წოლო ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს მიერ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება უნდა კვალიფიცირდებოდეს როგორც ამ სახელმწიფოს ყველა ინსტანციის სასამართლოს კონკრეტული მოსამართლების მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, და, შესაბამისად, როგორც ამ კონკრეტულ საქმეზე მათ მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ამ შემთხვევაშიც არცერთ მოსამართლეს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (?!).

უფრო მეტიც, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა კონსტიტუციები ფაქტობრივად ასრულებენ თვითონ კონსტიტუციის არსის, პრინციპებისა და დანიშნულების საწინააღმდევოოდ „დაკანონებული“ ეგრეთ წოდებული „კრიშის“ ფუნქციას მოსამართლეთათვის, რამეთუ სახელმწიფოთა კონსტიტუციებით ფაქტობრივად „დაკანონებულია“ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება – „დაკანონებულია“ მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დაუშვებლობა, რაც ათავისუფლებს მოსამართლეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან კანონსაწინააღმდევო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში (?!).

რას ნიშნავს ეს, თუ არა კრიმინალ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახელმწიფოთა კონსტიტუციებით „დაკანონებას“?!

აბა რას ნიშნავს ეს, თუ არა მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედებებისათვის მათ პასუხისმგებლობაზე სახელმწიფოთა კონსტიტუციებით „დაკანონებულ“ „იმუნიტეტის“ და ამით მრავალი ადამიანის დისკრიმინაციას?!

რას ნიშნავს ეს, თუ არა კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის „დაკანონებას“, როდესაც დაუშვებელია – როდესაც კონსტიტუციით აკრძალულია – მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა?!

ნუთუ შესაძლებელია, რომ სამართლებრივი საფუძველი გააჩნდეს სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირის (თანამდებობის პირების) დანაშაულებრივ ქმედებაზე (დანაშაულებრივ ქმედებებზე) კონსტიტუციურად „დაკანონებული“ „იმუნიტეტის“ არსებობას?!

ნუთუ შეიძლება, რომ ადამიანი იურისტად – თანაც „კონსტიტუციონალისტად“ – ითვლებოდეს (ანდა, საერთოდ, თუნდაც საშუალო განათლების ძქონე ვონიერ ადამიანად ითვლებოდეს) და ამავე დროს ის მხარს უჭერდეს, ან ამჩნევდეს და მაინც უყურადღებოდ – პროტესტის გარეშე – ტოვებდეს ამ კანონსაწინააღმდევო, ამ უმსგავსო, თანაც კონსტიტუციურად „დაკანონებულ“ დანაშაულებრივ ვითომდა „სამართლებრივ ნორმას“?!

თუმცა აქეთ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ძნელია საყვედური გამოთქვა ყველა იურისტის – თუნდაც ყველა კონსტიტუციონალისტის – მიმართ, რამეთუ ხშირ შემთხვევაში მეცნიერების სფეროს წარმომადგენელი იპვლევს გარკვეულ პრობლემას, მაგრამ არ აქვევს ყურადღებას – არ უკვირდება და არ ამჩნევს სხვა პრობლემას, რომელსაც ის უშუალოდ არ იკვლევს, და რომელიც ამავე დროს ტრადიციულად პრობლემად არ ითვლება, რადგან ეს უსამართლო, მაგრამ კონსტიტუციურად „დაკანონებული“ ვითომდა „სამართლებრივი ნორმა“ საყოველთაოდ აღიარებული და მიღებულია, მათ შორის, საერთაშორისო მასშტაბით (?!).

ამასთანავე, არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეთ იმ იურისტებს – განსაკუთრებით კი კონსტიტუციონალისტებს, რომლებიც გაეცნობიან კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის კონსტიტუციურად „დაკანონების“ არსებულ ფაქტებთან და ამით მრავალი ადამიანის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ჩემს მეცნიერულად არგუმენტირებულ კრიტიკას, და რომელი იურისტებიც, მიუხდავად ამისა, მაინც რეაგირების გარეშე დატოვებენ ამ პრობლემას.

სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ – რომ აღარაფერი ვთქვათ ამ შემთხვევაში კონსტიტუციურად „დაკანონებული“ დანაშაულის არსებობაზე, რომლის დაფარვაც ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია, კანონის წინაშე ადამიანების უთანასწორობის და, შესაბამისად, მრავალი ადამიანის დისკრიმინაციის კონსტიტუციურად „დაკანონების“ ფაქტების არსებობა, განსაკუთრებით ცივილიზებულობაზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოებისთვის, გასაკვირია, მაგრამ უდავო ფაქტია (?!).

ნუთუ არ ესმით „ცივილიზებულ“ სახელმწიფოებში მაინც, ანდა ნუთუ სულ დაავიწყდათ ეგრეთ წოდებულ “კონსტიტუციონალისტებს”, რომლებიც კონსტიტუციის შექმნაზე, თუ მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობდნენ და/ან მუშაობენ, რომ ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია?!

კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა – ხომ სამართლიანობის ელემენტარული მოთხოვნა და ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელიც თითქოსდა ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ...?!

ნუთუ ეს არ ესმით “კონსტიტუციონალისტებს”?!

ნუთუ “კონსტიტუციონალისტების” ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან სათანადო გააზრების გარეშე – ბრძან – გადმოიწერონ თავისი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ადამიანების უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების შემლახავი ანტისამართლებრივი “ნორმები”?!

ნუთუ სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე „დაკანონებული“ „იმუნიტეტის“ არსებობა, და ამით მიღიონობით ადამიანის დისკრიმინაცია, არ არის “ადამიანის უფლებათა და ბირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის” (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი) მე-14 მუხლით გათვალისწინებული – “დისკრიმინაციის აკრძალვის” [4] საწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან?!

ნუთუ ეს არის ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, როდესაც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს გააჩნიათ “იმუნიტეტი” დანაშაულებრივ ქმედებაზე, რაც ამავე დროს მიღიონობით ადამიანის კონსტიტუციურად “დაკანონებული” დისკრიმინაციის უდავო მაგალითს წარმოადგენს!?

\* \* \*

**ზემოაღნიშვნულიდან გამომდინარე, სამართლიანობის დამკვიდრებისა და კანონისაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან (ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან) ამოღებული იქნეს „სამართლებრივი“, ხოლო, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ანტისამართლებრივი „ნორმები“, რომლებითაც კონსტიტუცია (სახელმწიფოთა კონსტიტუციები) მფარველობს მოსამართლეთა დანაშაულებრივ ქმედებებს, და რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა (?!).**

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში [5] უნდა დარჩეს მხოლოდ სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია”, და ისიც უნდა დარჩეს ვარკვეული დაზუსტებით, ხოლო სიტყვები: „დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა“, და ყველაფერი დანარჩენი ამოღებული უნდა იქნეს ამ პუნქტიდან.

ამასთან, სიტყვები: “მოსამართლე ხელშეუხებელია”, უნდა დაზუსტდეს შემდეგი სიტყვებით: „მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტი [5] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციაში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შეტანით მოიხსება გარკვეული – კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ კონსტიტუციურად „დაკანონებული“ – წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე, მოიხსება წინააღმდეგობა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დამკვიდრების გზაზე.

კერძოდ, ამ შემთხვევაში მოიხსება წინააღმდეგობა თანასწორობის დამკვიდრების გზაზე, ერთი მხრივ, მოსამართლეებს – როგორც სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს – შორის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ, და ამით ვარკვეულწილად დაძლეული იქნება მიღიონობით ადამიანის დისკრიმინაცია.

თუმცა მოსამართლების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციაში (და, საერთოდ, არა მარტო სახელმწიფოთა კონსტიტუციაში), არამედ ავრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ [13].

ამ კანონიდან [13] – კერძოდ კი მე-40 მუხლის პირველი პუნქტიდან, და ავრეთვე მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან – ამოღებული უნდა იქნეს ის „სასამართლებრივი ნორმები“, რომლებითაც აკრძალულია მოსამართლეთა მიცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, რათა დაძლეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგოდ „დაკანონებული“ უსამართლობა და მოსამართლებს პასუხი მოეთხოვოთ უდავოდ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილი უნდა იქნეს ისეთივე ცვლილებები, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში, და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი [13] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მოსამართლე ხელშეუხებელია მასზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობის თვალსაზრისით სასამართლოში საქმის განხილვისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.

რაც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს, ამ პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს ბოლო წინადადება, ანუ ამოღებული უნდა იქნეს შემდეგი სიტყვები: „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [13], ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნეს 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ [5].

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან აღნიშნული სიტყვების ამოღების აუცილებლობა, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციიდან 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის ამოღების აუცილებლობა, განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე – როგორც სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირი – უნდა ემსახურებოდეს ხალხს და ანგარიშვალდებული უნდა იყოს მის წინაშე ყოველ კონკრეტულ საქმეზე, რამეთუ სწორედ ხალხის ხარჯზე ცხოვრობს და სწორედ ხალხის ხარჯზე იღებს მოსამართლე ყველაზე მაღალ ხელფასს, ხოლო, როგორც ცნობილია: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“!!!

გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების ბოლოს, სიტყვები „...თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით – „...თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით“, რომლის შეძლევ

უნდა დაისვას მძიმე და უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე მკითხვი არ არის და სრულიად დაუშვებელია, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღოს თავისი საკუთარი დაუსაბუთებელი „მოსაზრებების“ და „თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე“ (?!).

ამიტომ, თუმცა მოსამართლემ შეიძლება გაითვალისწინოს და კიდევაც უნდა გაითვალისწინოს თავისი შინაგანი რწმენა, მაგრამ ყველა მოსამართლეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მან თავისი შინაგანი რწმენა შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ კანონის ფარგლებში, ანუ მოსამართლემ თავისი შინაგანი რწმენით შეიძლება მიიღოს და უნდა მიიღოს არა კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება, არამედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში.

ამრიგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი [13] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და სხვა სამართლიან კანონებს“.

ამასთანავე, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე – ღმერთი კი არ არის, არამედ ისიც ადამიანია, რომელიც (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი) შეიძლება ცდებოდეს.

ხოლო ზოგიერთი მოსამართლე ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განზრახაც კი „ცდებოდეს“ (?!).

ზემოაღნიშნული აუცილებლად მოითხოვს ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [1; და სხვა] შესაბამისად, მოსამართლეების მიმართ სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებას, და ავრცელება ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას და დანერგვას სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის დონეზე, რითაც მოხდება მოსამართლეების კასუხისმგებლობის დაბალანსება მათ უფლებებთან.

სასამართლო პრაქტიკაში არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მოსამართლე ვერანაირად ვერ გარკვეულა – ვერ ერკვევა (ანდა თითქოსდა ვერ ერკვევა) სამართლებრივი თვალსაზრისით უმარტივეს სადაც პრობლემაში, რომელიც არა მარტო იურისტისათვის, არამედ წებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის იძღვნად ხელოვნურად მოჩანს, რომ სადაც კი არაფერი არ არის, და, მუხსედავად ამისა, სრულიად უსაფუძვლო ვითომდა “არგუმენტებზე” – ფაქტობრივად კი ჭორებზე – დაყრდნობით, ის – მოსამართლე – აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს, რაც მოსამართლეს არ უნდა ათავისუფლებდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას უნდა დაეკისროს – მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის და სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

უფრო მეტიც, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს უნდა დაეკისროთ არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე – მათ მიერ მიღებულ ყოველ კონკრეტულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე, არამედ მოსამართლეებს უნდა ეკისრებოდეთ აგრეთვე პასუხისმგებლობა მათი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების შედეგად დაზარალებული პირის მიმართ მიყენებული ყოველგვარი ზიანის – მათ შორის, მორალური ზიანის – ანაზღაურებაზე, რაც სათანადოდ უნდა იქნეს ასახული კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ, როგორც ზემოთაც გამახვილდა ამაზე ყურადღება, თუმცა მოსამართლე მართლაც ხელშეუხებელი უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისას – არავის არ უნდა ჰქონდეს მასზე ზევავლების მოხდენის უფლება და შესაძლებლობა, მაგრამ მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის – მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის და ა.შ., ანუ მოსამართლე არ უნდა იყოს თავისუფალი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ამკრძალავი “სამართლებრივი ნორმის” ამოღება საქართველოს კონსტიტუციიდან აამოქმედებს მოსამართლეების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს [12, მუხლი 332, 333], რაც კანონის წინაშე თანასწორ პირობებში ჩააყენებს მოსამართლეებს და ჩვეულებრივ ადამიანებს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახლმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ.

\* \* \*

რაც შეეხება იმას, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში და ა.შ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ეს სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – და აღოვიკური “სამართლებრივი” “ნორმაა” (?!).

ზემოაღნიშნული “სამართლებრივი ნორმის” კონსტიტუციიდან ამოღების აუცილებლობა უდავოა, რამეთუ უმთავრესი ის არის, რომ თუ მოსამართლემ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, თუ მან ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, მაშინ ამ მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას არავისი ნებართვა – თანხმობა – არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირლევა – კანონის წინაშე ყველა აღამიანის თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რითაც ამ შემთხვევაში ხდება კრიმინალი მოსამართლის სრულიად უსაფუძლო „გამართლება“ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარეშე, და რითაც ხდება მოსამართლის მიერ მომავალში ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის კრიმინალური “წახალისება” (?!).

ამრიგად, ყოველად გაუმართლებელია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (მიუხედავად მისი დაშასხურებისა, სამართლიანობისა, კომპეტენტურობისა და ა.შ., ანუ მიუხედავად კონკრეტული პიროვნებისა) უფლება ჰქონდეს დაარღვიოს ყველა აღამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და მან განსაზღვროს – დაუშვას თუ არა კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, რადგან არცერთ კრიმინალს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა, კონსტიტუციით “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშა” არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად “დაკანონებული” უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (?!).

\* \* \*

ცხადია, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მოსამართლე უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, ხოლო თუნდაც მისი „მინაგანი რწმენით“ (?) კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, მას უნდა ეკისრებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რის გარეშეც სახელმწიფოში სამართლიანობა მხოლოდ ხალხის მოსატყუებელ – ცრუ ლოზუნგად დარჩება (?!).

\* \* \*

აქ სამართლიანად და ლოგიკურად ისმის კითხვა:

ვინ მისცა უფლება სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ხალხს უნდა ეძნახურებოდეს, რომ კონსტიტუციურად „დააკანონოს“ ადამიანების უთანასწორობა კანონის წინაშე, რომ მოსამართლეები – სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები – „იმუნიტეტის“ საშუალებით „ღმერთებად“ გამოაცხადოს, რომლებსაც ყველაფრის უფლება ეძლევათ და, ამავე დროს, რომლებსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ თავის კანონსაწინააღმდევო – დანაშაულებრივ, აშკარად კრიმინალურ – ქმედებებზე, რომლებსაც არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ მათ მიერ კანონსაწინააღმდევო გადაწყვეტილებების მიღებაზე, და რომ ამით ხალხის – მილიონობით ადამიანის (რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან და პასუხს აგებენ თავის კანონსაწინააღმდევო ქმედებებზე) – დისკრიმინაცია „დააკანონოს“?!

ნუთუ თავისი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებით „დააკანონეს“ ადამიანების ზემოაღნიშნული უთანასწორობა კანონის წინაშე, რამაც მილიონობით ადამიანის დისკრიმინაცია გამოიწვია?!

უდავოა, რომ ნებისმიერ უდანაშაულო ადამიანს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც „იმუნიტეტი“ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, მაგრამ დანაშაულებრივ ქმედებაზე – არავის და, მით უმეტეს, არც მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს არავითარი „იმუნიტეტი“, რამეთუ ამ შემთხვევაში „იმუნიტეტი“ არის ადამიანების კონსტიტუციურად „დაკანონებული“ უთანასწორობა კანონის წინაშე და მრავალი ადამიანის დისკრიმინაცია, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (?!).

ამრიგად, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების მიმართ, ისევე, როვორც საერთოდ სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირთა მიმართ, აუცილებლად უნდა დაინერგოს და ამოქმედდეს იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმები, რათა მოსამართლეს კანონით ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მის უფლებებთან და მოვალეობებთან, რამეთუ, წინააღმდევ შემთხვევაში, სახელმწიფო სამართლიანობაზე და კანონის წინაშე ადამიანების თანასწორობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება.

\* \* \*

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თითქოსდა მოსამართლეების დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაცვის („იმუნიტეტის“) კონსტიტუციით „დაკანონება“ შეიძლება გამართლებული იქნეს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის – ევრეთ წოდებული ცივილიზებული სამყაროსათვის – მიბაძვით (?!), ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია გამახვილდეს ყურადღება შემდეგზე:

კურ-ერთი, აღნიშნულ პრობლემაზე საზღვარგარეთის სახელმწიფოების კონსტიტუციებში არსებული "სამართლებრივი ნორმების" არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეს ნორმები სამართლიანია და სამართლებრივად სწორია თვითონ იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა კონსტიტუციებშიც ასახულია ეს ნორმები;

და, მეორეც, საერთოდ უცხოეთის სახელმწიფოების მიბაძვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ პროგრესული მოძღვრების გავლენაში მხოლოდ იმ მკლევარს შეიძლება მოუტანოს სარგებლობა, "ვინც ყოველი დასკვნა გაატარა თავისი კრიტიკის ქარცეცხლში და არ მიიღო და არ ირწმუნა ის ბრძან". [14, გვ. 39-40].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მით უმეტეს ყოვლად გაუმართლებელია, როდესაც ბრძან ვექცევით უცხოეთის სახელმწიფოების არა პროგრესული მოძღვრების გავლენის ქვეშ, არამედ როდესაც ვბაძავთ ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებში ასახულ ისეთ უსამართლო ვითომდა "სამართლებრივ" "ნორმებს", რომლებითაც ილახება მილიონობით ადამიანის უფლებები, რამეთუ ამ ეგრეთ წოდებული "სამართლებრივი" "ნორმებით" უხეშად ირღვევა ადამიანების საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობა კანონის წინაშე (?!).

ამრიგად, სახელმწიფოები ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანობის დამკვიდრება მოითხოვს – არა უცხოეთის სახელმწიფოების კონსტიტუციებისადმი ბრძან მიბაძვას, არამედ მოითხოვს იმას, რომ ყველა ადამიანის კანონიერი უფლებები, თავისუფლებები და ინტერესები იქნეს დაცული, ხოლო ყველა დამნაშავე პირი, რომლის ქმედებები იწვევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების შელახვას, უდავოდ იქნეს დასჯილი!!!

მაშასადამე, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანობის დამკვიდრება სამართლიანად და სამართლებრივად მოხდეს, რამეთუ სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად ყველა ადამიანი და, მათ შორის, ყველა მოსამართლე, კანონის წინაშე თანასწორია!!!

სწორედ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციური [5, მუხლი 14] და ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნა აუცილებელს ხდის თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანას იმ თვალსაზრისით, რომ კონსტიტუციურად ნამდვილად უზრუნველყოფილი იყოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე!!!

სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ზემოაღნიშნული რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყოველი ადამიანის – ხალხის – ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა – სახელმწიფო

ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა!!!

შესაბამისად, უდავოა, რომ სახელმწიფო — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო — ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დასმული პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრა, რათა დაცული იქნეს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, და რათა სამართლიანობა ცარიელ ლოზუნგად — ცრუ ლოზუნგად — არ დარჩეს!!!

\* \* \*

აქვე აუცილებლად მიმაჩნია ხაზგასმით აღინიშნოს შემდეგი:

მიუხედავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დიდი მნიშვნელობისა, უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა — მის მიერ კანონისაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ კრიმინალური ქმედებისათვის, უნდა მოხდეს — უნდა ხდებოდეს — არა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, არამედ უნდა ხდებოდეს საგამოძიებო ორგანოებში და შემდეგ უკვე სასამართლოში.

ამასთანავე, ჯერ კიდევ მოქმედი კანონისმდებლობის პირობებში, კანონისაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ კრიმინალური ქმედებისათვის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმებაში მიცემაზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე თანხმობას უნდა აძლევდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რაც ფაქტომრივად არ ხდება... (?!).

და ასეთი თანხმობის მიცემა უნდა ხდებოდეს მანამ, სანამ არ აღმოიფხვრება მოსამართლისთვის კანონისაწინააღმდეგოდ “დაკანონებული” ”იმუნიტეტი” მის დანაშაულებრივ ქმედებაზე, და სანამ მოსამართლის კანონისაწინააღმდეგო ქმედების მიმართ კანონმდებლობაში არ მოხდება რაღიკალური ცვლილებები, რის შედეგადაც ნებისმიერ მოსამართლეს დაკავშირება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონისაწინააღმდეგო — კრიმინალური — გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რაც მოხდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, რამეთუ აღნიშნული ვითომდა ”სამართლებრივი” ”ნორმის” არსებობა (მიუხედავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონკრეტული პიროვნებისა) — უსამართლობის შეუნილბავ და მახინჯ გამოვლინებას წარმოადგენს (?!).

\* \* \*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად დასტურდება ჩემი მეცნიერულად დასაბუთებული პრონციპულად ახალი ხედვის სისწორე, რომლის თანახმად:

მოსამართლის კრიმინალური ქმედების მხილება და საჯაროდ გამოცხადება უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპს არ ეწინააღმდეგება ... (?!), რამეთუ უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპი არ უნდა ვაკრცელდეს იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც კანონისაწინააღმდეგო ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმებაში არ მიეცემიან (?!).

ამასთანავე, კიდევ ერთხელ დასტურდება ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [1; და სხვა] შესაბამისად, მოსამართლების მიმართ ჩემს მიერვე შექმნილი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედების, და აგრეთვე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის და დანერგვის აუცილებლობა სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის დონეზე, რითაც მოხდება მოსამართლეების პასუხისმგებლობის დაბალანსება მათ უფლებებთან, და რითაც ადგილი აღარ ექნება მოსამართლეთა მიმართ კანონსაწინააღმდეგოდ “დაკანონებულ” დანაშაულებრივ ”იმუნიტეტს” და ამით მიღლიონობით ადამიანის დისკრიმინაციას, რაც ხელს შეუწყობს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის მიღწევას და ხალხის ინტერესების უზენაესობის განხორციელებას.

## ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულურ ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესის აუცილებელი მეცნიერული საფუძვლი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009 წლის 9 ოქტომბერი. №1772-IIს.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”, 1992.  
[http://www.parliament.ge/files/stajireba\\_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc](http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc)

4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენცია). რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>

5. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.  
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

6. Конституция Российской Федерации. Принята 12.12.1993.  
[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_28399/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_28399/)  
[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_28399/a4d26fe6022253f9f9e396e9ca6f63c80946702f/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_28399/a4d26fe6022253f9f9e396e9ca6f63c80946702f/) <http://www.constitution.ru/>  
<http://www.constitution.ru/10003000/10003000-4.htm>

7. Конституция Украины. С изменениями от 15.03.2016.  
<http://meget.kiev.ua/zakon/konstitutsia-ukraini/>  
<http://meget.kiev.ua/zakon/konstitutsia-ukraini/razdel-2/>

**8. Конституция Германии. Основной закон Федеративной Республики Германии, 23 мая 1949 г.**

[http://www.1000dokumente.de/?c=dokument\\_de&dokument=0014\\_gru&object=translation&l=ru](http://www.1000dokumente.de/?c=dokument_de&dokument=0014_gru&object=translation&l=ru)

<http://worldconstitutions.ru/?p=155>

**9. Конституция Французской Республики.** От 4 октября 1958 года.

<http://lawers-ssu.narod.ru/subjects/constzs/france.htm>

**10. Конституция Итальянской Республики.** От 22 декабря 1947 года.

<http://lawers-ssu.narod.ru/subjects/constzs/italy.htm>

**11. კურატაშვილი ალფრედ.** ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპებით ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მოღიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაზნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 336 გვ.

**12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.** 1999 წლის 22 ივლისი. №2287 რს.  
[http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis\\_samartlis\\_kodeksi.pdf](http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeksi.pdf)

**13. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.** 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257 – IIს.  
[http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto\\_sasamartloebis\\_sesaxeb\\_saqartvelos\\_kanoni.pdf](http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/saerto_sasamartloebis_sesaxeb_saqartvelos_kanoni.pdf)

**14. Шадури В. Ленинградский университет и деятели грузинской культуры.**  
Тбилиси: Издательство «Мерани», 1968. – 76 с.

УДК 1+32+33+34+35

**Альфред Анзорович Кураташвили (Тбилиси, Грузия)**

В связи с конституционным контролем нормативного акта или его части со стороны Конституционного Суда, *по моему глубокому и научно обоснованному убеждению*, нельзя считать конституционным – *не должен считаться конституционным* – тот нормативный акт или его часть, который противоречит сущности и принципам Конституции, который противоречит защите прав, свобод и интересов человека – народа.

Все другие же нормативные акты или их части, которые не соответствуют Конституции, т.е., которые противоречат Конституции, являются – антиконституционными нормативными актами.

Исходя из вышеотмеченного, тот нормативный акт или его часть, который противоречит Конституции – действительно является не просто неконституционным, а является – антиконституционным нормативным актом или его частью, ибо нормативный акт или его часть, который не противоречит Конституции, т.е. который не является антиконституционным, может быть неконституционным в том смысле, что этот нормативный акт или его часть – *и/или необходимость его существования* – непосредственно не отражены в Конституции.

Хотя, этот неконституционный нормативный акт или его часть вовсе не представляют собой правовую основу того, чтобы они подлежали признанию Конституционным Судом недействительными, ибо отмеченный нормативный акт или его часть не противоречат сущности и принципам Конституции, не противоречат справедливости, не противоречат правам, свободам и интересам человека – народа.

Именно подтверждением этому служит 39-ая Статья Конституции Грузии, согласно которой: «Конституция Грузии не отвергает других общепризнанных прав, свобод и гарантий человека и гражданина, которые в ней не упомянуты, но сами по себе вытекают из принципов настоящей Конституции» [1, Статья 39].

Таким образом, признанию недействительными со стороны Конституционного Суда должны подлежать нормативный акт или его часть – притом, с момента их принятия, которые противоречат Конституции, т.е. которые являются – антиконституционными, а не только и просто неконституционными нормативными актами.

Притом, как отмечено мной выше, антиконституционный нормативный акт или его часть должны подлежать признанию недействительными со стороны Конституционного Суда – не с момента опубликования решения Конституционного Суда по данному вопросу, а с момента принятия Конституционным Судом данного решения.

В противном случае, по отношению к лицам, уже ущемленным и «ограбленным» в результате противозаконного действия антиконституционного нормативного акта или его части до принятия Конституционным Судом решения, не будет и не может быть восстановлена справедливость.

Следовательно, антиконституционный нормативный акт фактически должен считаться – «мертворожденным».

Поэтому, если физическое или юридическое лицо отказалось от выполнения требований, предусмотренных каким-то законом – предусмотренных нормативным актом, и если затем было подтверждено, что это лицо не подчинилось лишь требованию антиконституционного нормативного акта или же его антиконституционной части, то такое лицо должно быть освобождено от всякой ответственности за это.

Более того, в соответствии с созданной мной Теорией сбалансированности прав и ответственности должностных лиц [1, Статья 39], должна быть введена и узаконена ответственность должностных лиц, сбалансированная с их правами за принятие и за имплементацию антиконституционных нормативных актов.

\* \* \*

Исходя из вышеотмеченного, не подлежит сомнению, что в связи с конституционностью нормативного акта или его частей особенно вырисовываются, указанные мной и выше, две значительные проблемы:

Первая проблема – это необходимость того, чтобы признанию недействительным со стороны Конституционного Суда подлежали все те нормативные акты или их части, которые противоречат Конституции государства, т.е. которые являются – антконституционными, а не лишь – неконституционными.

Вторая же проблема – заключается в необходимости того, чтобы признанию недействительным со стороны Конституционного Суда подлежали нормативные акты или их части – не с момента опубликования решения Конституционного Суда по данному вопросу, а с момента принятия Конституционным Судом данного решения.

\* \* \*

К созданию научных трудов, связанных с рассмотрением юридических понятий – «неконституционный нормативный акт» и «антконституционный нормативный акт», особенно подталкнул меня тот факт, что как в Конституции Грузии [1, Статья 89, пункт 2], так и в Органическом законе Грузии «О Конституционном Суде Грузии» [4, Статья 20; Статья 21, пункт 7; Статья 23, пункт 2, пункт 4, подпункты – «а», «б»; и др.], а также в законе Грузии «О конституционном судопроизводстве» [5, Статья 32, пункт 4, подпункты – «б» и «в»], для выражения противоречащего Конституции нормативного акта или его части используется не термин – «антконституционный», а термин – «неконституционный», что является результатом неосознанности различия между понятиями – «неконституционный нормативный акт» и «антконституционный нормативный акт», и что является позорной неразберихой в юриспруденции (?!).

Тот же факт имеет место, *например*, в Конституции Российской Федерации, в которой упомянут только термин – «неконституционный» [6, Статья 125, пункт 6], вместо термина – «антконституционный», а термин – «антконституционный» вообще не фигурирует в Конституции Российской Федерации.

Аналогично, нормативный акт или его часть, противоречащий Конституции Украины, т.е. антконституционный нормативный акт или его часть считается и называется – неконституционным [7, Статья 152], а не – антконституционным (?!).

В Основном законе Федеративной Республики Германии (в Конституции Германии) антконституционный нормативный акт или его часть упоминается также как – неконституционный [8, Статья 100, «1»], а не как – антконституционный (?!).

\* \* \*

В заключение считаю необходимым еще раз отметить, что противоречащий Конституции нормативный акт или его часть является не просто – неконституционным нормативным актом, а является – антконституционным нормативным актом или его антконституционной частью, ввиду чего, как в Конституциях государств, так и в других соответствующих правовых актах необходимо внести радикальные изменения, согласно которым признанию недействительным со стороны Конституционного Суда должны подлежать все те нормативные акты или их части, которые противоречат Конституции государства, т.е. которые являются – не неконституционными, а которые являются – антконституционными нормативными актами.

Кроме того, для достижения и утверждения справедливости, в соответствующих правовых актах должны быть внесены радикальные изменения, согласно которым решение Конституционного Суда о признании недействительным нормативного акта или его части должно войти в силу не с момента опубликования решения Конституционного Суда, а с момента принятия Конституционным Судом данного решения.

*В противном же случае, в результате действия антконституционного нормативного акта или его антконституционной части до принятия Конституционным Судом решения по ним, останутся ущемленными права многих людей (!!).*

Все вышеизложенное приводит к логическому выводу о том, что неосознанность различия между неконституционным правовым (нормативным) актом и антконституционным правовым (нормативным) актом, является показателем «правового» безкультурья и юридической «слепоты», что требует неотложного и серьезного «лечения» правового сознания в международном масштабе.

Притом, эффективное «лечение» правового сознания в международном масштабе возможно лишь на основе созданных мной революционно новых научных теорий – на основе Философии социальной цели [9; 10; и др.], на основе Теории верховенства интересов народа [11; 12; и др.] и на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [2; 3; и др.].

## ЛИТЕРАТУРА

1. Конституция Грузии. Принята 24 августа 1995 года.  
<https://matsne.gov.ge/ru/document/view/30346>

2. Кураташвили Альфред А. Сбалансированность прав и ответственности должностных лиц – политico-правовая теория эффективного функционирования общества (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: “Мецниереба”, 1997. – 76 с.

**3. Кураташвили Альфред А.** Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. *Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 256 с.

**4. Органический закон Грузии «О Конституционном Суде Грузии»** (11.11.1997 №1059). Тбилиси, 31 января 1996 года. № 95-вс.

[https://www.google.ge/url?url=https://matsne.gov.ge/en/document/download/32944/22/ru/pdf&ct=j&q=&esrc=s&sa=U&ved=0ahUKEwjisruMg6PZAhVFFywKHUa3BuoQFggTMAA&usg=AQvVaw18S\\_sBSPvlJChQN2O0AAvU](https://www.google.ge/url?url=https://matsne.gov.ge/en/document/download/32944/22/ru/pdf&ct=j&q=&esrc=s&sa=U&ved=0ahUKEwjisruMg6PZAhVFFywKHUa3BuoQFggTMAA&usg=AQvVaw18S_sBSPvlJChQN2O0AAvU)

**5. Закон Грузии «О конституционном судопроизводстве».** Тбилиси, 1 марта 1996 года. № 159-Ис.

<https://matsne.gov.ge/ru/document/view/32986>

**6. Конституция Российской Федерации.** Принята всенародным голосованием 12 декабря 1993 г.

<http://constitution.kremlin.ru/>

**7. Конституция Украины.** С изменениями от 15.03.2016.

<http://meget.kiev.ua/zakon/konstitutsia-ukraini/razdel-12/>

**8. Конституция Германии. Основной закон Федеративной Республики Германии,** 23 мая 1949 г.

[http://www.1000dokumente.de/index.html/index.html?c=dokument\\_de&dokument=0014\\_gru&object=translation&l=ru](http://www.1000dokumente.de/index.html/index.html?c=dokument_de&dokument=0014_gru&object=translation&l=ru)

**9. Кураташвили Альфред А. Философия цели – альтернатива философии средств** (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: «Мецниереба», 1997. – 100 с.

**10. Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 352 с.

**11. Кураташвили Альфред А. Теория диктатуры интересов народа. Определяющее научное направление социально-экономического развития истинно человеческого общества и государства** (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: "Мецниереба", 1997. – 76 с.

**12. Кураташвили Альфред А. Теория верховенства интересов народа. Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 336 с.

უაგ 1+32+33+34+35

### **ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
(სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), საჯარო სამართალი),  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი”-ს და საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები”-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი,  
სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი,  
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ  
მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდგილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## **ადვოკატის მიერ მოსამართლის შეცდომაში შეყვანის მიზნით პანონსაჭინააღმდეგო თაღლითური ხერხებით “მანიპულირება” – სისხლის სამართლის დანაშაულია (?!)**

ადვოკატის უშუალო ფუნქცია, უფლება და მოვალეობა, როგორც  
ცნობილია, არის მის მიერ თავისი კლიენტის დაცვა, რაც საერთოდ თითქოსდა  
არავითარ ეჭვს და დავას არ იწვევს.

ამასთანავე, უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატის საქმიანობა –  
ეს არ არის ადვოკატის “ბრძოლა წესების გარეშე” (?!).

უფრო მეტიც, სპორტში “წესების გარეშე ბრძოლასაც” კი აქვს თავისი  
წესები, და, მით უმეტეს, ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის დაცვა, კანონის  
თანახმად, დასაშვებია არა ნებისმიერი გზით – არა კანონსაწინააღმდეგო  
თაღლითური ხერხების გამოყენებით, არა მოსამართლის შეცდომაში შეყვანის  
მცდელობით, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს,  
არამედ – ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის დაცვა დასაშვებია მხოლოდ  
კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში.

მაშასადამე, ადვოკატს არავითარი უფლება არა აქვს, რომ მხარის – ამ  
შემთხვევაში მოსარჩევის – მიერ წარმოადგენილ უეჭვო 100%-იან ოფიციალურ  
დოკუმენტურ მტკიცებულებებს, მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით  
დაუპირისპიროს სრულიად უსაფუძვლო “ცარიელი” სიტყვებით “მანიპულირება”  
და ყალბი – დანაშაულებრივი – არარსებული ვითომდა “არგუმენტები”, რაც  
ადვოკატის მხრიდან უდავოდ წარმოადგენს კრიმინალურ ქმედებას –  
წარმოადგენს მის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულს (?!).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კრიმინალური ქმედების დაუშვებლობისა, ზოგიერთი დაუსჯელობით “ფრთხებშესხმული” და გათავსედებული ადვოკატი (თანაც, მათ შორის, ზოგიერთი ყოფილი მოსამართლეც კი, რომელსაც ძირითადად ძველი ნაცნობობისა და პირადი “კავშირების” გამოყენების გზით ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობის” იმედი აქვს) “თავგანწირვით” “იბრძვის” თავისი კლიენტის “დასაცავად” ყალბი ვითომდა ეგრეთ წოდებული “არგუმენტებით” – ყალბი ვითომდა ეგრეთ წოდებული “მტკიცებულებებით”, ანუ “იბრძვის” დანაშაულებრივი – აშკარად კრიმინალური – “ხერხებით” (?!).

ამრიგად, აღნიშნული “ტიპის” ადვოკატის დაქირავება, რომელიც, რბილად თუ ვიტყვით, განსაკუთრებული სამართლებრივი აზროვნებით ნაძვილად არ ვამოირჩევა (რამეთუ ის სასამართლო პროცესზე მხოლოდ აბდაუბდა უაზრობებს და სისულელეებს ლაპარაკობს), ხდება კრიმინალი კლიენტის მიერ სწორედ იმიტომ, რომ ამ ადვოკატმა თავისი პირადი “კავშირების” საშუალებით გავლენა მოახდინოს მოსამართლეზე და მიაღებინოს მას კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება (?!).

ანდა ამ “ტიპის” ადვოკატის დაქირავება ხდება იმ განზრახვით, რომ ამ ადვოკატმა თაღლითური – კანონსაწინააღმდეგო – “ხერხების” გამოყენებით შეცდომაში შეიყვანოს (ან ვითომდა შეცდომაში “შეიყვანოს”) მოსამართლე და დანაშაულებრივად მიაღებინოს მას თავისი კრიმინალი კლიენტის “გამამართლებელი” – ანუ დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება (?!).

ამასთანავე, ზემოაღნიშნული “ტიპის” – კრიმინალურ ქმედებებს “მიჩვეული” – ადვოკატი (რომელსაც მოსამართლე არ უნდა აძლევდეს სასამართლო პროცესზე კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტებით” “მანიპულირების” უფლებას, ანუ რომლის თაღლითურ “მანიპულირებასაც” მოსამართლე დროულად უნდა აღკვეთდეს) თვითონ ებმება “მახეში”, რამეთუ თუმცა მოსამართლეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისათვის თვითონ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა და ამისათვის, როგორც მინიჭუდ, მას მოუწევს (უნდა მოუწიოს) მოსამართლის თანამდებობის დატოვება, მაგრამ მიუხედავად იმისა – მოახდენს თუ ვერ მოახდენს ასეთი ადვოკატი მოსამართლეზე “ცარიელი”, უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგო “რიტორიკით” გავლენას, მას – ასეთ ადვოკატს – უნდა ჩამოერთვას ადვოკატის უფლებამოსილება და მისი საქმე უნდა გადაეცეს საგამოძიებო ორგანოებს.

სწორედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედებაა აუცილებელი იმ კრიმინალ ადვოკატთა მიმართ, რომლებიც სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში სასამართლო პროცესებზე თავისი კლიენტების დასაცავად აპელირებენ და “მანიპულირებენ” ყალბი – დანაშაულებრივი – ვითომდა “არგუმენტებით”, რითაც ცდილობენ მოსამართლის შეცდომაში შეყვანას, და რითაც თავისი კლიენტების კრიმინალური ქმედებების თანამონაწილენი ხდებიან (?!).

ამასთანავე, კრიმინალი ადვოკატისაგან განსხვავებით, პატიოსანი ადვოკატი, რომელიც მხოლოდ სამართლიანობას და ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას ემსახურება, ანუ ადვოკატი, რომელიც თავის კლიენტებს თავდადებით იცავს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში, უდავოდ იმსახურებს პატივისცემას, ისევე, როგორც უდავო პატივისცემას იმსახურებს ყველა პატიოსანი, პრინციპული და სამართლიანი მოსამართლე, რომელიც მხოლოდ ადამიანის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვას ემსახურება.

\* \* \*

რაც შეეხება ზოგიერთი ადვოკატის დანაშაულებრივ ქმედებებს, უნდა აღინიშნოს, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 1, პუნქტი 2) [1], ადვოკატი “ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს”, და ამავე კანონის 21<sup>1</sup> მუხლის 1 პუნქტის თანახმად ადვოკატს დადებული აქვს ფიცი, რომ იქნება “სამართლიანობის იდეების ერთგული” და რომ კეთილსინდისიერად დაიცავს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს [1].

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ ყოველი ადვოკატი იყოს “სამართლიანობის იდეების ერთგული”, და რომ ის კეთილსინდისიერად იცავდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ზოგიერთი ადვოკატი სასამართლოში გამოდის აშკარად კანონსაწინააღმდეგო თითქოსდა “არგუმენტებით”, რითაც ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მოსამართლე და მიაღებინოს მას კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება (?!).

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უპე აღინიშნა, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ადვოკატი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მაშასადამე, ადვოკატი, რომელიც “სამართლიანობის იდეების ერთგულების” ნაცვლად, ყველანაირად ცდილობს კანონსაწინააღმდეგო თაღლითური “ხერხებით” “მანიპულირებას” და თავისი კლიენტის კრიმინალური ქმედებების უსაფუძვლოდ “გამართლებას”, რისთვისაც ის ცდილობს მოსამართლის შეცდომაში შეყვანას, უპირველეს ყოვლისა, უდავოდ უნდა “მოიკვეთოს” საადვოკატო საქმიანობიდან, თუმცა მისი პასუხისმგებლობის საკითხი ამით არ უნდა შემოიფარგლოს.

\* \* \*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატს, რომელიც თავისი კლიენტის დასაცავად სასამართლო პროცესზე აპელირებს და “მანიპულირებს” ყალბი – დანაშაულებრივი – ვითომდა “არგუმენტებით”, რითაც ის თავისი კლიენტის კრიმინალური ქმედებების თანამონაწილე ხდება, არა მარტო უნდა აეკრძალოს საადვოკატო საქმიანობა, არამედ მას აგრეთვე უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რამეთუ ადვოკატის მხრიდან ასეთი ქმედება უდავოდ სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს (?!).

აქ სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა:

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, კურძოდ კი, ადვოკატის კრიმინალურ ქმედებებთან დაკავშირებით – კონკრეტულად მაინც რა დანაშაულებრივი ქმედებისათვის და რა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა დაეკისროს ადვოკატს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?

პასუხად მოგანსენებთ შემდეგს:

ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგო ქმედებისათვის, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უნდა აეკრძალოს საადვოკატო საქმიანობა.

ამასთანავე, ადვოკატს უნდა დაეკისროს აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შემდეგი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე:

ადვოკატის კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების დასახელებამდე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

“რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით” [2].

ზუსტად იგივე სამართლებრივი ნორმაა გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით [3].

კონსტიტუციის შესაბამისად – ანალოგიური სამართლებრივი ნორმა დაფიქსირებულია აგრეთვე საქართველოს ორგანულ კანონში “საერთო სასამართლოების შესახებ”, რომლის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

“მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით” [4].

ამრიგად, მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით უდავოდ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს (?!).

ამასთანავე, ზოგიერთმა თაღლითობაში “გავარჯიშებულმა” პირმა, კურძოდ კი, ზოგიერთმა ადვოკატმა (ისევე, როგორც ამ ადვოკატის დამქირავებელმა – დანაშაულებრივ ქმედებებს “მიჩვეულმა” სასამართლო პროცესის მხარის ხელმძღვანელობამ) სწორედ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით შესაძლოა სხვადასხვა კრიმინალური “ხერხი” გამოიყენოს (?!).

მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის ერთი ასეთი “ვარიანტია” – ადვოკატის (და საერთოდ სასამართლო პროცესის კრიმინალი მხარის მხრიდან) პირადი “კავშირების” გამოყენებით ან სხვა “ფარული” “გზებით” ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობა”, რაც ადრე – წლების წინ – “ტრადიციულ” “მეთოდად” ითვლებოდა, რითაც “ფასდებოდა” ადვოკატის “საქმიანობა” და მისი “სიძლიერე”, და რაც – აღნიშნული “ტრადიციული” “მეთოდის” გამოყენება – ახლაც გამორიცხული სულაც არ არის (?!).

ასევე, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის კიდევ ერთი (უკვე მეორე) “ვარიანტია” – ადვოკატის მხრიდან

სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად წარმოადგენს დანაშაულს სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ [5, თავი XLI, მუხლი 364].

ამასთანავე, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის აღნიშნული – მეორე – “ვარიანტის” მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სამართალწარმოების განხორციელებისთვის ხელის შეშლა ფორმულირებულია შემდეგი სახით:

“2. სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით „უხეში ჩარევა“ [5, მუხლი 364, ნაწილი მე-2].

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლოს საქმიანობაში „უხეში ჩარევა ადვოკატის მხრიდან მნელად განსახორციელებელია, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოსახდენად კრიმინალ ადვოკატს “რეზერვში” “რჩება” მესამე “ვარიანტი” (?!).

კერძოდ კი, აღნიშნული (მესამე) “ვარიანტის” თანახმად – ეს არის ადვოკატის მხრიდან თაღლითური “ხერხებით”, ცრუ დასმენით და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებით მოსამართლეზე ზემოქმედება და მასზე ზეგავლენის მოხდენა – მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების მიზნით (?!).

\* \* \*

ამრიგად, განვიხილოთ ზოგიერთი ადვოკატის მხრიდან მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით “სავარაუდოდ” ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობის” ფაქტი\*, და აგრეთვე განვიხილოთ ადვოკატის მხრიდან აშკარად კრიმინალური – თაღლითური ქმედებების [5, მუხლი 180], ცრუ დასმენის [5, მუხლი 373] და “შეფარული” წამების [5, მუხლი 144] კონკრეტული ფაქტები, რაც ასეთი ადვოკატისთვის (მის კრიმინალ დამქირავებელთან ერთად) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების უდავო საფუძველს წარმოადგენს (?!).

კერძოდ, სხვა რა არის, თუ არა თავისი პირადი “კავშირებით” “ცნობილი” – “სახელგანთქმული” და საჯაროდ “აფიშირებული” – ადვოკატის მხრიდან ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობის” კრიმინალური “მაგალითი”, როდესაც მოსამართლე, მის მიერ მიღებული სრულიად სამართლიანი და ყოველმხრივ დასაბუთებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემდეგ, იხილავს არაუფლებამოსილი პირის – ადვოკატის – სახელით წარმოდგენილ სრულიად უაზრო და დაუსაბუთებელ საჩივარს და აკმაყოფილება მას (?!).

\* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმულებული ვარ გამოვიყენო სიტყვა – “სავარაუდო”, რადგან თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, კონკრეტულად ადგილი აქვს სწორედ ეგრეთ წოდებულ საქმის “ჩაწყობას”, მაგრამ იმდენად, რამდენადაც დოკუმენტური მტკიცებულების მოტანა იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც აქ იგულისხმება, ძალიან მნელია, ვიყენებ სიტყვას – “სავარაუდო” (?!).

ამასთანავე, ლოგიკურად და არსებული ფაქტების გათვალისწინებით, არაგითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მოსამართლემ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღლო სწორედ ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობის” შედეგად, რამეთუ სხვა გონივრული ასსა მის გადაწყვეტილებას არ გააჩნია (?!).

ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ჯერ ქრთი, კიდევაც რომ არსებობდეს ადვოკატის (ან ნებისმიერი სხვა პირის) მხრიდან მოსამართლესთან ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობის” უდავო დოკუმენტური მტკიცებულება, ეს მაინც ვერ გაათავისუფლებს მოსამართლეს პასუხისმგებლობისაგან კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისთვის (?!).

უფრო მეტიც, აღნიშნულ შემთხვევაში და საერთოდაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მოსამართლეს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილების მიღებისათვის, რამეთუ ეს არის მოსამართლის მხრიდან სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება [5, მუხლი 333], და ასევე სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება [5, მუხლი 332].

და, მეორეც, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ადვოკატის მხრიდან მოსამართლესთან ეგრეთ წოდებული საქმის “ჩაწყობის” დოკუმენტური მტკიცებულება, ადვოკატს მაინც უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მის მიერ სასამართლო პროცესზე კანონსაწინააღმდეგო ვითომდა ეგრეთ წოდებული “არგუმენტებით” აპელირებისათვის და თაღლითური “ხერხებით” მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენისათვის (?!).

\* \* \*

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე ადვოკატის მხრიდან მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით კანონსაწინააღმდეგო – თაღლითური – “ხერხებით” – აპელირებას, უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატის (თანაც არაერთი ადვოკატის, მათი დამქირავებლის, და აგრეთვე ამ დამქირავებლის სხვა წარმომადგენლების) მხრიდან კრიმინალური ქმედებების – თაღლითური “ხერხების” გამოყენების, ცრუ დასმენის, მოსარჩელის შეფარული (შენიღბული) წამების და სხვა მრავალი ფაქტის უშუალო მხილველი და მომსწრე ვარ\*, ისევე, როგორც არაერთი მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – გადაწყვეტილების მიღების ფაქტების უშუალო მხილველი და მოწმე ვარ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სასამართლო პროცესი თითქმის ხუთი წელია მიმდინარეობს და ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, რაც მოსარჩელის მიმართ წამების შეფარულ – შენიღბულ – ფორმას წარმოადგენს, იძულებული ვარ ამჟამად თავი შევიკავო აღნიშნულ პრობლემაზე არსებული კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტების საჯაროდ მხილებისაგან, თუმცა დადგება დრო და ყველაფერი ოფიციალურად და საჯაროდ გამოკეყნდება, თანაც საერთაშორისო მასშტაბით, რათა ყველა დამნაშავეს პასუხი მოეთხოვოს.

\* \* \*

\* ადვოკატის მხრიდან მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით კანონსაწინააღმდეგო – თაღლითური – “ხერხების” გამოყენების ზოგიერთი მაგალითის გაცნობა შესაძლებელია ამ პრობლემაზე ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში:

„ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტებით” კლიენტის დაცვა – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?! ” [6, გვ. 81-88].

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ ნებისმიერი ადვოკატი მოქმედებდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში და იყოს ადამიანის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დამცველი, ზოგიერთი „თავზეხელაღებული“ და „ჩალიჩი“ ადვოკატი სასამართლოში გამოდის აშკარად კანონსაწინააღმდეგო – სრულიად უსაფუძვლო – თითქოსდა ეგრეთ წოდებული “არგუმენტებით”, ფაქტობრივად კი გამოდის ყალბი ვითომდა „მტკიცებულებებით“, რითაც ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მოსამართლე და მიაღებინოს მას კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება, რაც მისი მხრიდან კრიმინალურ ქმედებას წარმოადგენს (?!).

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ადვოკატი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში ადამიანის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთი ადვოკატის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – ქმედებები მოითხოვს მისთვის აღეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრებას, როგორც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე იმ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებული და ამოქმედებული უნდა იქნეს ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [7; 8; და სხვა].

\* \* \*

დაბოლოს, საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ აღვნიშნო შემდეგი:

„ზოგიერთი ადვოკატები ცალკეულ შემთხვევებში გამოდიან კანონსაწინააღმდეგო – ყალბი, დანაშაულებრივი – ვითომდა „არგუმენტებით“ დაზარალებული მოსარჩელის წინააღმდეგ, რომელიც ტრეფიკინგის – ექსპლუატაციის „ახალი“, „შემოქმედებითი მეთოდის“ გამოყენების – მსხვერპლი აღმოჩნდა გარკვეული თანამდებობის პირების მხრიდან, და რომელიც სამართლიანად მოითხოვს თავისი კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

მაგრამ იმ ადვოკატთაგან, ვინც სასამართლოში იყენებს კანონსაწინააღმდეგო ვითომდა „არგუმენტებს“, პრაქტიკულად არავის არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მის უფლებებთან და მოვალეობებთან, რომელთა თანახმად ადვოკატი უნდა იყოს სამართალდამცველი (და არა უსამართლობის – კრიმინალური ქმედებების – დამცველი), და ის უნდა იცავდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფთ მხოლოდ კონსტიტუციური, სამართლებრივი მეთოდებით, ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდეს სასამართლოს შეცდომაში შეყვანას კანონსაწინააღმდეგო ვითომდა „არგუმენტების“ გამოყენებით, რამეთუ ეს უდავოდ წარმოადგენს კრიმინალურ ქმედებას“ [6, გვ. 87].

ნუთუ ყველა ადვოკატი და ყველა მოსამართლე არ უნდა ითვალისწინებდეს (?!), რომ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტების [9, მუხლი 7; 10,

მუხლი 14; და სხვა], ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციების [2, მუხლი 14; და სხვა] თანახმად – კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, წარმოადგენს – სამართლიანობის საყოველთაო პრინციპს !!!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – ქმედებისათვის ყველას უნდა დაეკისროს (და დაეკისრება) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მიუხედავად მისი თანამდებობრივი თუ სხვა მდგომარეობისა, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევა და დამკაიდრება მხოლოდ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

## ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “აღვოკატთა შესახებ”. მიღებულია 2001 წლის 20 ივნისს.

[http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)

2. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო. №786-რს

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997 წლის 14 ნოემბერი.

[http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/samoqalaqo\\_saproceso\\_kodeksi.pdf.pdf](http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/samoqalaqo_saproceso_kodeksi.pdf.pdf)

4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. თბილისი, 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257-IIIს

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676>

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი. №2287-რს

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

6. კურატაშვილი ალფრედ. აღვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტებით” კლიენტის დაცვა – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ...?! საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „იურისპრუდენციის პრობლემები”, 2015, №1-2. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2015. – გვ. 81-88.

7. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 76 გვ.

8. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულურ ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

9. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1992.

[http://www.parliament.ge/files/stajireba\\_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc](http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc)

10. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>

უაგ 1+32+33+34+35

### **ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
(სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), საჯარო სამართალი),  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი”-ს და საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები”-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი,  
სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი,  
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ  
მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდგილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## **რა იჭვევს სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას?!**

### **მოსამართლის**

**კრიმინალური ქმედებების მხილება –  
სასამართლო სისტემის ”განწმენდის” გზაა,  
და არა ამ სისტემის დისკრედიტაცია**

სასამართლო სისტემის განსაკუთრებული როლი, მნიშვნელობა და  
პასუხისმგებლობა ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვის საქმეში უდავოა და  
დამატებით დასაბუთებას არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი მოსამართლე, რომელიც  
სამართლიანობას ემსახურება, და რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობებს  
პატიოსნად და კომპეტენტურად ასრულებს, უდავოდ იმსახურებს პატივისცემას.

ამასთანავე, სამწუხაროდ, არიან ისეთი მოსამართლეებიც, რომლებსაც, აღბათ,  
ჰელიკონიათ და მიაჩნიათ, რომ მოსამართლეს “ყველაფრის” უფლება აქვს, რამეთუ  
მოსამართლე, მათი “აზრით” თითქოსდა არის “სრულიად” “დამოუკიდებელი”  
და მოსამართლეს, მის მიერ მიღებული ნებისმიერი – თუნდაც დაუსაბუთებელი,  
უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო, აშკარად დანაშაულებრივი –  
გადაწყვეტილებისთვის პასუხი არ მოეთხოვება, რადგან მოსამართლეს სისხლის  
სამართლის პასუხისმგებლობისაგან იცავს კანონსაწინააღმდეგოდ და სრულიად  
უსამართლოდ “დაკანონებული” “იმუნიტეტი” [1, მუხლი 84, პუნქტი 3, მუხლი  
87, პუნქტი პირველი; 2, მუხლი 7, პუნქტი პირველი, მუხლი 40, პუნქტი  
პირველი], მაშინ როდესაც საერთაშორისო სამართლებრივი აქტების [3, მუხლი 7;  
4, მუხლი 14; და სხვა] და სახელმწიფოთა კონსტიტუციების [1, მუხლი 14; 5,  
მუხლი 3; 6, მუხლი 1; 7, მუხლი 3; და სხვა] თანახმად – კანონის წინაშე  
ყველა ადამიანი თანასწორია.

ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედებისათვის, ანუ კანონსაწინააღმდეგო  
გადაწყვეტილების მიღებისათვის ყველა მოსამართლეს უნდა დაეკისროს

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც მოსამართლისთვის დანაშაულებრივად “დაკანონებული” “იმუნიტეტის” მოხსნით და კრიმინალი მოსამართლების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო ნორმების ამოქმედებით [8, მუხლი 332, 333], ისე ჩემს მიერ შექმნილი – თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე შემუშავებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევა და დამკვიდრება მხოლოდ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

რაც შეეხება პასუხის იმაზე, თუ რა იწვევს სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას, მთელი პრინციპულობით აღვნიშნავ, რომ სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას იწვევს არსებული უსამართლო – დანაშაულებრივი – კანონმდებლობა, და ზოგიერთი – კრიმინალი – მოსამართლის მიერ “იმუნიტეტის” ბოროტად გამოყენება, მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის ფაქტობრივად არარსებობის პირობებში.

ამასთან, მოსამართლის კრიმინალური ქმედებების მხილება არის სასამართლო სისტემის “განწმენდის” აუცილებელი გზა, და არა ამ სისტემის დისკრედიტაცია.

## ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო. №786-რს

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

2. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. თბილისი, 2009 წლის 4 დეკემბერი. № 2257-IIს

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676>

3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”, 1992.

[http://www.parliament.ge/files/stajireba\\_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc](http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc)

4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>

5. Конституция Германии. Основной закон Федеративной Республики Германии, 23 мая 1949 г.

[http://www.1000dokumente.de/?c=dokument\\_de&dokument=0014\\_gru&object=translation&l=ru](http://www.1000dokumente.de/?c=dokument_de&dokument=0014_gru&object=translation&l=ru)

<http://worldconstitutions.ru/?p=155>

6. Конституция Французской Республики. От 4 октября 1958 года.

<http://lawers-ssu.narod.ru/subjects/constzs/france.htm>

7. Конституция Итальянской Республики. От 22 декабря 1947 года.

<http://lawers-ssu.narod.ru/subjects/constzs/italy.htm>

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი. №2287-რს

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

9. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-უკონსტიტუციური პროცესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

უაგ 1+32+33+34+35

### **ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
(სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), საჯარო სამართალი),  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი”-ს და საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები”-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი,  
სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი,  
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ  
მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდგილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## **მოსამართლის უვადოდ დანიშვნა –**

**კონსტიტუციურად “დაპანონებული”,  
გაგრამ კონსტიტუციის არსის,  
დანიშნულებისა და პრინციპების  
საჭიროადგენერო ემედებაა (?!)**

**ნუთუ ვერ ხვდებიან  
სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში,  
საკანონმდებლო და აღმასრულებელ  
ხელისუფლებაში, რომ  
მოსამართლის უვადოდ დანიშვნა –  
კანონის წინაშე  
ყველა ადამიანის თანასწორობის  
უხეში დარღვევა და მოსამართლის  
კრიმინალური ქმედებების  
მასტიმულირებელი ფაქტორია (?!)**

მოსამართლის უვადოდ დანიშვნა სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში  
და საერთოდ სახელმწიფო ხელისუფლებაში “რატომდაც” მიაჩნიათ სასამართლოს  
– მოსამართლეთა – “დამოუკიდებლობის” “მნიშვნელოვან” გარანტიად (?!).

ეს რომ ნამდვილად ასე არ მიაჩნდეთ, მოსამართლის უვადოდ დანიშვნა  
სახელმწიფოს კონსტიტუციით არ იქნებოდა გათვალისწინებული (?!).

ამასთან, ცხადია და უდავოა, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა ნამდვილად  
ბევრად უფრო აძლიერებს მის დამოუკიდებლობას მოსამართლის გარკვეული ვადით  
არჩევასთან შედარებით, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისი, რომ ზოგიერთი  
მოსამართლე ამ “დამოუკიდებლობას” უფრო “გარანტირებულად” არ გამოიყენებს  
თავისი კრიმინალური ზრახვების განსახორციელებლად (?!).

წომ საიდუმლო არ არის, რომ მოსამართლეთა მნიშვნელოვან ნაწილს – მათ შორის, ბევრ პატიოსან მოსამართლესაც კი – “ჰერი”, რომ ნებისმიერ სასარჩელო საქმეზე გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს “თავისი შინაგანი რწმენით” (?!), მაგრამ ამ მოსამართლეებს “ავიწყდებათ” (ან ვითომდა “ავიწყდებათ”, ანდა “არ ესმით”), რომ მოსამართლეს მართლაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება “თავისი შინაგანი რწმენით”, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში, და არა ისე, როგორც მოსამართლეს “მოეპრიანება” (?!).

ამრიგად, არაერთ მოსამართლეს – მისი დამოუკიდებლობა “ჰერი” და “ესმის” არა როგორც (ან არა მხოლოდ როგორც) დამოუკიდებლობა სასამართლო პროცესში და გადაწყვეტილების მიღებისას გარედან ჩარევისაგან, არამედ ზოგიერთ მოსამართლეს დამოუკიდებლობა “ესმის” როგორც მისი “გაღმერთება” და “სრული დამოუკიდებლობა” გადაწყვეტილების მიღებისას, რასაც ისიც “აძლიერებს”, რომ მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხი არ მოეთხოვება საერთოდ და, მათ შორის, მაგალითად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაშიც კი (რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისთვის “საბრალდებო დასკვნას” უნდა წარმოადგენდეს), და რასაც ისიც “აძლიერებს”, რომ აშკარად კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისთვისაც კი მოსამართლე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა (?!)\*.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადზე ცხადია, რომ არსებული კანონმდებლობის, მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობის (ან თუნდაც მხოლოდ პასუხისმგებლობის ფიქტიური შესაძლებლობის არსებობის) პირობებში, კომპეტენტურ, სპეტაკ და პრინციპულ მოსამართლეთა არსებული დეფიციტის, და განსაკუთრებით კი ბრძენ მოსამართლეთა დიდი – უდიდესი – დეფიციტის პირობებში, მოსამართლის უვალოდ დანიშვნა წარმოადგენს ზოგიერთი მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივი) გადაწყვეტილების მიღების – მოსამართლის მიერ კრიმინალური ქმედებების – მასტიმულირებელ ფაქტორს (?!).

\* მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობა (რაც კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის საწინააღმდეგოდ – “რატომდაც” დანაშაულად არ ითვლება) ზოგიერთ პატიოსან მოსამართლეშიც კი იწვევს პასუხისმგებლობის “მოღუნებას” ... (?!).

ზემოაღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ როდესაც ერთ ჩემს კარგად ნაცნობ მოსამართლეს (რომლის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა ძალიან მნელია) მე ვუთხარი, რომ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის მოსამართლეს უნდა ეკისრებოდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მეთქი, მან მიასუხა:

“ასე რომ იყოს, მე აქამდე უკვე 15-ჯერ ჩამსვამდნენ ციხეშიო” (?!).

წარმოადგინეთ, რომ თუ შედარებით “პატიოსანი” მოსამართლე (რომელიც ანგარებით არ იღებს გადაწყვეტილებებს) ამას ამბობს, რას იზამნე უვალოდ დანიშნული “საეჭვო” მოსამართლეები (?!).

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში და ა.შ., “მიჩნეულია” თითქოსდა სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვან “გარანტიად”, ჩემი ღრმა და მუცნიერულად დასაბუთებული რწმენით, სრულიად უდაცოა, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა წარმოადგენს კონსტიტუციურად “დაკანონებულ”, მაგრამ კონსტიტუციის არსის, დანიშნულებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებას (?!).

**ამიტომ ისმის კითხვა:**

ნუთუ ვერ ხვდებიან სასამართლო სისტემის მაღალ ეშელონებში, სახელმწიფოს (სახელმწიფოების) საკანონმდებლო და აღმასრულებელ წელისუფლებაში (წელისუფლებებში), რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნა – კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უხეში დარღვევაა, რაც იწვევს მრავალი ღირსეული ადამიანის დისკრიმინაციას (იწვევს იმ ადამიანების დიკრიმინაციას, რომლებსაც კონკურსის წესით მოსამართლეობა არ ეღირსებათ, რამეთუ უნდა ეღოდონ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების “დაბერებას”, და ამ ღოდინში თვითონაც “დაბერდებიან”), და რომ, ამავე დროს, ეს წარმოადგენს მოსამართლის კრიმინალური ქმედებების მასტიმულირებელ ფაქტორს (?!).

**ამასთან დაკავშირებით, ასევე ისმის კითხვა:**

ნუთუ სასამართლო სისტემის რეფორმა თვითმიზანს წარმოადგენს, რათა ”რეფორმა“ ”საქმის კეთებად“ ჩაითვალოს (?!).

ანდა ნუთუ სასამართლო სისტემის რეფორმა უნდა ემსახურებოდეს არა ხალხის ინტერესებს, არამედ მხოლოდ მოსამართლეთა ”დამოუკიდებლობას“, რათა ზოგიერთმა მოსამართლემ კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში ”დამოუკიდებლად“ და დაუსჯელად გააუბედუროს მრავალი ადამიანი, ნაცვლად იმისა, რომ ყოველი მოსამართლე იცავდეს ადამიანის კანონიერ უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ ინტერესებს (?!).

**და კიდევ ერთი კითხვა:**

ნუთუ გასაგები არ უნდა იყოს ყველასთვის, რომ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს მიღწევა და დამკაიდრება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ ლაპარაკი იქნება მხოლოდ მოსამართლეთა „დამოუკიდებლობაზე“, სანამ მოსამართლეს დაიცავს ”იმუნიტეტი“ პასუხისმგებლობისაგან, და სანამ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის შესაბამისად\* არ ამოქმედდება მოსამართლეთა იურიდიული პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები, და სანამ არ მოხდება მოსამართლის პასუხისმგებლობის ბალანსირება მის უფლებებთან.

\* კურატუშებილი აღფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულურ ახალი მუცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-კონისტიკური პროგრესის აუცილებელი მუცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ., და სხვა.

ამრიგად, თუმცა მოსამართლის დამოუკიდებლობა უდავოდ აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლის დამოუკიდებლობა სასამართლო პროცესში და მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გარედან ჩარევისაგან.

მაგრამ სრულიად დაუშვებელია, რომ ეს იყოს მოსამართლის ”დამოუკიდებლობა” – კანონისაგან, რაც კანონისაწინააღმდეგო – კრიმინალური – ქმედების უდავო მაგალითს წარმოადგენს (?!).

ფაქტობრივად კი, აღვილი აქვს სწორედ იმას, რომ ზოგიერთი (თანაც არა ერთი და ორი) მოსამართლე ”დამოუკიდებლობას” იყენებს დანაშაულებრივად – ”დამოუკიდებლობას” იყენებს როგორც კანონისაგან ”დამოუკიდებლობას” (და ასეთი ჩემთვის ცნობილი არაერთი მაგალითი არსებობს), ხოლო ზოგიერთი უვადოდ დანიშნული მოსამართლე უფრო ”გაბედულად” ”იმოქმედებს” – კანონისაგან ”დამოუკიდებლად” (?!).

\* \* \*

საჭიროდ მიმართოთ განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნის პრობლემასთან დაკავშირებით 2015 წელს, ჩემს ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში აღვნიშნავდი შემდეგს:

”მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნა კონსტიტუციურად ”დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, რამეთუ ეს არის, ჯერ-ერთი, ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებული – ყველა ადამიანის კანონის წინაშე კონსტიტუციური თანასწორობის [1, მუხლი 14] უგულებელყოფის უდავო მაგალითი, და, მეორეც, ეს არის მოსამართლეთა სრულიად უსაფუძვლო „გაღმერთების“ დანაშაულებრივი ქმედება (?!)” [2, გვ. 13].

უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 2010 წელს, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვისას მე ვწერდი:

”რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტის რედაქციას, რომელიც კანონპროექტშია შემოთავაზებული, აქ ფრიად სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად ”მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება უვადოდ”, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სრულიად დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ-ერთი, რატომ უნდა დაინიშნოს მოსამართლე უვადოდ, მაშინ როდესაც, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის არჩევა (ისევე როგორც უცხოეთის ძრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციების მიხედვით) ხდება მხოლოდ 5 წლის ვადით, რაც სრულიად ნორმალურია.

მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, გარდა 5 წლის ვადით არჩევისა, მას ეკრძალება ზედიზედ არჩეული იქნეს პრეზიდენტად ორჯერზე მეტად (იმის ანალიზიურად, როგორც ეს უცხოეთის სახელმწიფოებში ხდება), ანუ ორჯერ არჩევის შემდეგ იგივე პირს არჩევნებში მონაწილეობაც კი ეკრძალება (რაც ცალკე განსახილველ

პრობლემას წარმოადგენს და რაზედაც ჩემს მიერ გაცემულია ამომწურავი პასუხი ამავე სამეცნიერო ნაშრომში – გვ. 64-74), ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებას კანონპროექტით გვთავაზობენ უვადოდ (?!).

საკვირველია, მაგრამ ფაქტია (?!).

მეორეც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: მაშ რატომ უნდა ხდებოდეს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება უვადოდ?!

გასავებია, რომ აյ ივულისხმება სასამართლო ხელისუფლებისათვის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების შექმნა, როგორც ეს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის ვანმარტებით ბარათშია აღნიშნული, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ზოგიერთი მოსამართლე ამ დამოუკიდებლობას კორუფციის მიზნებისათვის უფრო “კარგად” არ გამოიყენებს?!

მესამეც, დავუშვათ, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა უვადოდ ან დანიშნული აღმოჩნდა (დანიშნულად ჩაითვალა) უვადოდ ყველა მოსამართლე (ამასთან ვივულისხმოთ, რომ ყველა მოსამართლე არის ჰატოსანი და კომპეტენტური), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოსამართლეებს (თუ ისინი ახალგაზრდები არიან) თანამდებობები უნდა ეკავოთ დაახლოებით 30-40 წლის განმავლობაში (?!).

ამასთანავე, დავუშვათ, რომ 5 ან 10 წლის შემდეგ მოვიდა იურისტების ახალი თაობა, რომლებიც არა მარტო უდავოდ ჰატიოსნები არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში არიან აგრეთვე ბევრად უფრო განათლებულები და კომპეტენტურები, ვიდრე ეს უვადო მოსამართლეები.

რა ქნან მათ – ამ ახალგაზრდა ღირსეულმა იურისტებმა?!

ნუთუ უნდა ელოდონ მანამ, სანამ დაბერდებიან და დაჩაჩანაკდებიან ძველი მოსამართლეები?!

შექმნილი (მოსალოდნელი) სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრად უფრო სამართლიანი და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესი იქნება, თუ, მაგალითად, ყოველ 4 ან 5 წელიწადში ერთხელ მოეწყობა კონკურსები მოსამართლეების თანამდებობების დასაკავებლად, რათა ყველაზე ღირსეულმა – საუკეთესო პიროვნებებმა დაიკავონ ეს თანამდებობები.

ამასთან, არ უნდა შეეზღუდოთ კონკურსში მონაწილეობის უფლება იმათ, ვინც რამოდენიმეჯერ უკვე იყო არჩეული (ან დანიშნული) მოსამართლედ, რადგან საუკეთესო – სწორედ კონკურსში უნდა გამოავლინოს.

ხალხის ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე, რომლის რეალიზაციასაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუცია, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტში” [3, გვ. 32-35].

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ზემოაღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი [3], რომელიც გამოქვეყნდა 2010 წელს, ჯერ კიდევ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანამდე, გამოცემისთანავე გადაეცა საქართველოს მაშინდელ უმაღლეს ხელმძღვანელობას, მასში ასახული ჩემი

პრინციპულად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინების მიზნით, მაგრამ ამაռდ (?!).

"და ეს პრობლემა, – ოფიციალურ მე 2015 წელს აღვნიშნავდი, – განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდესაც არა პროექტის, არამედ უკვე საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად [1] მოსამართლე გამწესდება უვადოდ (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

ნუთუ ვერ აცნობიერებენ – ნუთუ არ ესმით – ამ სრულიად უსამართლო ვითომდა "სამართლებრივი ნორმის" ავტორებს და მხარდამჭერებს, რომ თანამდებობებზე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა – კონსტიტუციურად "დაკანონებული" ანტიკონსტიტუციური ქმედებაა (?!)

ნუთუ შეიძლება, რომ აღნიშნული "სამართლებრივი ნორმის" ავტორები და მხარდამჭერები იურისტებად ჩაითვალონ (?!).

ნუთუ სამარცხვინო არ არის, როდესაც ნაცვლად სამართლიანობის დამკვიდრებისა, სხვათა სრულიად უსამართლო და უსაფუძვლო დანაშაულებრივ ვითომდა "იდენტს" მხარს უჭირენ და თუთიყუშებივით იმეორებენ (?!).

აღნიშნული პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრის მიზნით, საჭიროდ და აუცილებლად მიმართავთ, რომ უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული იქნეს 86-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ" [2, გვ. 16].

\* \* \*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად დასტურდება, რომ სასამართლო სისტემას ნებისმიერ სახელმწიფოში ეშველება არა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნით, არამედ ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის [4, და სხვა] საფუძველზე მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედებით, რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან.

### ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

2. კურატაშვილი ალფრედ. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა – კონსტიტუციურად "დაკანონებული" ანტიკონსტიტუციური ქმედება... (?!). სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (15.11.2015). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2015. – გვ. 13-16.

3. კურატაშვილი ალფრედ. რა ცვლილებებია აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციაში და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში?! „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2010. – 84 გვ.

4. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და ხოციალურ-კონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

**უაგ 1+32+33+34+35**

### **ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
(სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), საჯარო სამართალი),  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი”-ს და საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები”-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი,  
სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი,  
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ  
მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდგილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## **სახ ელემტიფოს პრეზიდენტის არჩევის შეზღუდვა რამდენიმე ვადით – კონსტიტუციით “დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური და დანაშაულებრივ ქმედებას, დამდინარე ილახება როგორც პრეზიდენტობის პრეტენდენტის, რომლითაც ილახება კონსტიტუციით (კონსტიტუციებით) და მიღიონობით ადამიანის (ამომრჩევლების) უფლებები – ილახება იმ ადამიანთა უფლებები, რომლებსაც კონსტიტუციით (კონსტიტუციებით) “დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური, ვითომდა „სამართლებრივი“, ფაქტობრივად კი ადამიანის უფლებების შემლახავი უსამართლო „ნორმის“ გამო არ ეძლევათ მათთვის სასურველი და მათთვის ყველაზე ღირსეული პიროვნების არჩევის უფლება და საშუალება (?!).**

**ნუთუ დაცული არ უნდა იქნეს  
ყველა ადამიანის თანასწორობა  
კანონის წინაშე?!**

სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევის შეზღუდვა რამდენიმე ვადით –  
უდავოდ წარმოადგენს კონსტიტუციით (კონსტიტუციებით) “დაკანონებულ”  
ანტიკონსტიტუციურ და აშკარად დანაშაულებრივ ქმედებას, წარმოადგენს  
დისკრიმინაციას, რომლითაც ილახება როგორც პრეზიდენტობის პრეტენდენტის,  
ისე მიღიონობით ადამიანის (ამომრჩევლების) უფლებები – ილახება იმ  
ადამიანთა უფლებები, რომლებსაც კონსტიტუციით (კონსტიტუციებით)  
“დაკანონებული” ანტიკონსტიტუციური, ვითომდა „სამართლებრივი“,  
ფაქტობრივად კი ადამიანის უფლებების შემლახავი უსამართლო „ნორმის“ გამო  
არ ეძლევათ მათთვის სასურველი და მათთვის ყველაზე ღირსეული პიროვნების  
არჩევის უფლება და საშუალება (?!).

ნუთუ სახელმწიფოებში, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ცივილიზებულობაზე,  
დაცული არ უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და  
სახელმწიფოთა კონსტიტუციებით აღიარებული – ყველა ადამიანის  
თანასწორობა კანონის წინაშე?!

**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო სახელმწიფოს პრეზიდენტის  
არჩევის შეზღუდვა რამდენიმე ვადით, არამედ აგრეთვე სხვა ნებისმიერ  
არჩევით/საკონკურსო თანამდებობის დაკავების პრეტენდენტობის მსურველთა**

არჩევის შეზღუდვა რამდენიმე ვადით და/ან მათი ასაკობრივი შეზღუდვა – ეს არის ადამიანის დისკრიმინაცია (რომელიც შეეხება, მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებს, ფაკულტეტების დეკანებს, პროფესორის აუდიტორი თანამდებობის დაკავების მსურველ პირებს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს და ა.შ.), და წარმოადგენს კონსტიტუციის არსის, მისი დანიშნულების და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი შეზღუდვა კანონსაწინააღმდეგოდ არის ”დაკანონებული” სახელმწიფოს კონსტიტუციით, ან სხვა კანონებით, რამეთუ აღნიშნული შეზღუდვა უდავოდ არღვევს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანამდებობის საერთაშორისო დონეზე საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს და უხეშად ლახავს ადამიანის კანონიერ უფლებებს (?!).

ამრიგად, არავითარი სამართლებრივი, ლოგიკური და გონივრული ადამიანური გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევის შეზღუდვას რამდენიმე ვადით (ისევე, როგორც არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს სხვა არჩევით/საკონკურსო თანამდებობის დაკავების მსურველთა არჩევის შეზღუდვას რამდენიმე ვადით და/ან მათ ასაკობრივ შეზღუდვას).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევის რამდენიმე ვადით შეზღუდვის კანონიერ გაუქმებას ჰყავს სრულიად უსაფუძვლო მოწინააღმდეგები, რომლებიც ”ცდილობენ” თავისი ”პოზიცია” ”გაამართლონ” მართვის არარსებული და განუხორციელებადი ვითომდა ეგრეთ წოდებული ”დემოკრატიული” ”მეთოდების” ”გამოყენების” ”აუცილებლობით”... (?!).

პრეზიდენტის არჩევის რამდენიმე ვადით შეზღუდვის გაუქმების მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ აღვნიშნავ შემდეგს:

კაცობრიობის ისტორიაში – მსოფლიოში – არასოდეს არსად არარსებული და საერთოდ განუხორციელებადი ეგრეთ წოდებული ”დემოკრატიის” [1; 2; და სხვა] უაზრო და უსაფუძვლო პოლიტიკური ”ბაცილით” ”დაავადებული” პირების ”რიტორიკა” იმის შესახებ, რომ თითქოს სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევის რამდენიმე ვადით შეზღუდვის – საპრეზიდენტო ვადის ლიმიტის – გაუქმება გამოიწვევს ეგრეთ წოდებული ”დემოკრატიის” საწინააღმდეგო ქმედებას, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ, სამართლებრივ და გონივრულ საფუძველს, რამეთუ ეგრეთ წოდებული ”დემოკრატია” – წარმოადგენს სრულიად განუხორციელებად ”სულელურ” ტერმინს, რომელიც, ჩემი ღრმა და მცნიერულად დასაბუთებული რწმენით, შეიძლება – ან ”არსებობდეს” მხოლოდ გაუაზრებლად ”ვიღაცების” ”განსაკუთრებულ” ”ტვინებში”, ანდა ეგრეთ წოდებული ”დემოკრატია” შეიძლება ”შეგნებულად” გამოიყენებოდეს ხალხის (ხალხების) ”ტვინის გასაბრუებლად” – ხალხების და სახელმწიფოების დამონების მიზნით (?!).

\* \* \*

აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მე ვმსჯელობ სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევის რამდენიმე ვადით შეზღუდვის სრულიად სამართლიან და კანონიერ გაუქმებაზე, ჩემს მიერ იგულისხმება არა ისეთი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფოს პრეზიდენტი, რომელსაც ფაქტობრივად აქვს ძირითადად მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სახელით ხელის ჩამორთმევის უფლება, ლაპარაკის უფლება, ფულის ხარჯვის უფლება, თავის თანამშრომლებთან და ახლობლებთან ერთად უცხოეთში მრავალჯერ მოგზაურობის უფლება და ა.შ., მაგრამ რომელსაც არა აქვს სახელმწიფოს მართვის უფლება, რამეთუ ასეთი სახელმწიფოს "მეთაური" ფაქტობრივად მხოლოდ ფიქტურ "მეთაურს" წარმოადგენს, და მასზე და მის მიერ გაწეული ხარჯები – უზარმაზარი თანხების "წყალში გადაყრად" უნდა ჩაითვალოს, რაც უაზროდ აზიანებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ხალხის ინტერესებს (?!).

ამრიგად, სახელმწიფოს პრეზიდენტზე მსჯელობისას მე ვგულისხმობ არა სახელმწიფოს "დედოფალს", რომელსაც მემკვიდრეობით "ერგო" ქვეყანა, არამედ კონკრეტულ პიროვნებას – ნებისმიერი სახელმწიფოს პრეზიდენტს, რომელიც, სახელმწიფოს "დედოფლისაგან" განსხვავებით, დაქირავებულია ხალხის მიერ – როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური მენეჯერი, და რომელიც რეალურად არის და უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაურიც და სახელმწიფოს ლიდერიც, რამეთუ სრული უაზრობაა, რომ სახელმწიფოს მეთაური და სახელმწიფოს ლიდერი – ერთი და იგივე პიროვნება არ იყოს.

"რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა ირჩევდეს პრეზიდენტს, ჩემი ღრმა რწმენით, – როგორც ადრეუც აღვნიშნავდი, – პრეზიდენტს უნდა ირჩევდეს ხალხი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს პრეზიდენტი რეალურად არის სახელმწიფოს მეთაური, ანუ თუ პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს სახელმწიფოს მართვის უფლებამოსილება და თუ პრეზიდენტი ნამდვილად მართავს სახელმწიფოს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის უფლებამოსილება და მისი პრაქტიკული საქმიანობა შემოიფარგლება ძირითადად ლაპარაკით და ხშირი მოგზაურობებით, როდესაც ფაქტობრივად სახელმწიფოს უუფლებო (ჩემი ღრმა რწმენით, ფიქტური) ვითომდა მეთაური ხვდება სხვა სახელმწიფოთა მოქმედ მეთაურებს (ხვდება სახელმწიფოთა ისეთ მეთაურებს, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოს მართვის უფლებამოსილება, და რომლებიც რეალურად მართავენ სახელმწიფოებს), რაც (ასეთი შეხვედრები) უაზრობის შთაბეჭდილებას ტოვებს, და რომლის შედეგად დიდი ოდენობით საბიუჯეტო ფული იხარჯება, ასეთი "უფლებამოსილების" მქონე პრეზიდენტის – მუხლით კონკრეტული პიროვნებისა – არჩევა სახელმწიფოში საერთოდ არ უნდა ხდებოდეს, და მას არავინ არ უნდა ირჩევდეს, რამეთუ ის არ არის "დიდი ბრიტანეთის დედოფალი", და სახელმწიფოში ასეთი პრეზიდენტის არჩევის საჭიროება საერთოდ არ არსებობს.

თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს რეალური მეთაური პრეზიდენტის სახით, რომელიც იქნება სახელმწიფოს ლიდერი, რომელსაც უნდა ირჩევდეს ხალხი, რომელსაც უნდა გააჩნდეს დიდი უფლებები, მაგრამ რომელსაც ამავე დროს უნდა გააჩნდეს მის უფლებებთან დაბალანსებული პასუხისმგებლობა – ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის შესაბამისად" [3, გვ. 86-87].

\* \* \*

შემდეგ უკვე (ამ სამეცნიერო ნაშრომის ბოლომდე), სახელმწიფოს პრეზიდენტის პრობლემაზე გთავაზობთ ნაწყვეტს – საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ამ ცვლილებების შეტანამდე ჩემს მიერ გამოქვეყნებული წიგნიდან: ”რა ცვლილებებია აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციაში და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში?! „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა” [4, გვ. 64-74].

\* \* \*

სახელმწიფოს კონსტიტუციაში განსაკუთრებით აქტუალურია პრეზიდენტისა და მისი უფლება-მოვალეობების პრობლემა, ძირითადად რის გამოც არის მსჯელობები სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა კონსტიტუციურ მოდელებზე, თითქოს კონსტიტუციური ძოლების შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყნის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის (?!).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც სიმფონიურ ორკესტრს სჭირდება დირიჟორი და როგორც თეატრალურ სპექტაკლს სჭირდება რეჟისორი (თუმცა თუ ერთხელ დადგმული თეატრალური სპექტაკლი მსახიობებმა შეიძლება ითამაშონ მრავალი წლის მანძილზე რეჟისორის გარეშეც, სიმფონიურ ორკესტრს ყოველთვის სჭირდება დირიჟორი) და ა.შ., ისე სახელმწიფოს ყოველთვის სჭირდება ლიდერი, რადვან სხვაგვარად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფუძლიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია, რამეთუ, როგორც მე ადრეც აღვნიშნავდი: სახელმწიფო – ლიდერის გარეშე იგივეა, რაც ადამიანი უთავოდ.

თუმცა ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს სახელმწიფოს ლიდერი უნდა იყოს დიქტატორი, რომელიც ისე მართავს სახელმწიფოს, რომ ანგარიშს არ უწევს არც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა და არც ხალხის აზრს.

ამრიგად, რამდენიც არ უნდა ვიღლაპარაკოთ ევრეთ წოდებულ ”დემოკრატიაზე“, რომელიც საერთოდ განუხორციელებადია, ნებისმიერ სახელმწიფოს მართავს ლიდერი, ისევე როგორც ნებისმიერ სიმფონიურ ორკესტრს – დირიჟორი (თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს ლიდერის მართავს სხვა სახელმწიფოს ლიდერი, ანუ როდესაც მართონებულ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე).

მაგრამ განსხვავება სახელმწიფოთა ლიდერებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ლიდერი მეტად ნიჭიერია, ხოლო ზოგიერთი – ნაკლებად, ზოგიერთი ლიდერი სახელმწიფოს მართავს კარგად და ეფექტიანად, ხოლო ზოგიერთი – ცუდად, ზოგიერთი ლიდერი ითვალისწინებს სახელმწიფოში ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა და ხალხის აზრებს, ხოლო ზოგიერთი – არა, ზოგიერთი ლიდერი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესებით – ხალხის ინტერესების უზრავსობით, ხოლო ზოგიერთი – არა, ზოგიერთი ლიდერის მოღვაწეობის პერიოდში (სახელმწიფოს ლიდერის ნიჭიერებიდან და სწორი პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე) ხალხის ცხოვრების დონე აღწევს მაღალ ხარისხს, ხოლო ზოგიერთი ლიდერის მიერ სახელმწიფოს მართვის პერიოდში ხალხი იძყოფება უკონიმიერი და მორალურ-ფსიქოლოგიური გენოციდის მდგომარეობაში (როდესაც ხელფასების, პენიტენციის, სტუდენტთა სტაიპენდიის და ა.შ. ოდენობა საარსებო მინიმუმის დონეზე გაცილებით დაბალია, რაც სრულიად დაუშვებელია ნორმალურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, და რომლის დასაბუთებულ კრიტიკასაც მე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მივუძღვენ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ) [5].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი ბრძად ბაძავს სხვა სახელმწიფოთა მართვის მეთოდებს და მათ გამოცდილებას, ხოლო ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი შეძლებებითად უდგება მას, რაც უდავოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, და ა.შ.

უცხოეთის სახელმწიფოების მიბაძვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ პროგრესული მოძღვრების გავლენამ მხოლოდ იმ მკვლევარს შეიძლება მოუტანოს სარგებლობა, ”ვინც ყოველი დასკვნა გაატარა თავისი კრიტიკის ქარცეცხლში და არ მიიღო და არ იწოდება ის ბრძან” [6, გვ. 39-40].

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები, ჩემი ღრმა რწმენით, მნიშვნელოვანია არა მარტო მეცნიერების განვითარებისათვის, არამედ ავრეთვე სახელმწიფოს უცველებელი მართვისათვის, რამეთუ, ჯერ-ურთი, თვითონ სახელმწიფოს მართვა – კომპლექსური მეცნიერებაა, და, ძორუც, სახელმწიფოს მართვა – პოლიტიკური მენეჯმენტი – მეცნიერულ საფუძველზე უნდა ხდებოდეს [7].

შემთხვევითი არ არის, რომ, როგორც მე არაერთხელ აღვნიშნავდი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების (უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების) პოლიტიკურ მენეჯმენტში წინა წლებში დაშვებულმა შეცდომებმა, ხოლო არასწორი პოლიტიკური მენეჯმენტის სიღრმისეული საფუძვლები უნდა ვეძებოთ იმ ”მეცნიერულ იდეებში”, რომლებსაც ეყრდნობოდნენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ლიდერები (?!).

სახელმწიფოს ლიდერის შემოქმედებითი აზროვნებისა და ორგანიზატორული უნარის განსაკუთრებულ როლზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, როდესაც ის ამსხვრევს ზოგიერთ ტრადიციულ შეხედულებას, დამახასიათებელს კაპიტალიზმისათვის, რათა დაძლეული იქნას ეკონომიკური კრიზისი.

ამრიგად, სახელმწიფოს ლიდერს განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის მართვაში და უცველებელი ფუნქციონირებაში.

ამასთან, მთავარია ის, თუ ვინ მართავს და როგორ მართავს სახელმწიფოს, და არა ის, თუ რა ჰქვია იმ თანამდებობას, რომელიც სახელმწიფოს ლიდერს უქავია:

არის ეს – პრეზიდენტი, პრემიერ-მთხისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ სხვა, რამეთუ ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს ჰყავს (ეყოლება) ლიდერი – ჰყავს (ეყოლება) არა კოლექტური, არამედ ინდივიდუალური ლიდერი, რომელიც ”დირიჟორობს” (“უდირისკორებს”) როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირებას, რაც სულაც არ ამცირებს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მნიშვნელობას, და ავრეთვე ცალკეულ სფეროებში სხვადასხვა დონის ლიდერების უცველებები მოღვაწეობის აუცილებლობას.

მაშასადამე, თავს ნუ მოვიტყებოთ ”კოლექტური ლიდერებისადმი” უსაფუძლო იმედით.

სახელმწიფოს ინდივიდუალურ ლიდერს კი თავისი სახელი უნდა ერქვას და ეს სახელია – პრეზიდენტი, რომელსაც ლიდერის შესაბამისი უფლებები უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ამავე დროს, მას უნდა ჰქონდეს ამ უფლებებთან დაბალანსებული დიდი პასუხისმგებლობაც, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციური მოდელის შეცვლა.

კერძოდ, არცერთი სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევა არ უნდა იყოს შეზღუდული რამდენიმე (როგორც წესი, ორი) ვადით, რადგან თუ პიროვნება არ იმსახურებს პრეზიდენტობას, მაშინ ის სათანადო იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმების საშუალებით, რომლებიც შეიქმნება თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [8], უნდა გათავისუფლდეს პრეზიდენტის თანამდებობიდან პირველი ვადის დამთავრებამდეც, ხოლო თუ ის იმსახურებს პრეზიდენტის თანამდებობაზე თუდაც ხუთჯერ ან უფრო მეტჯერ არჩევას, კონსტიტუცია არ უნდა

ზღუდვების ამას, რამთუ ასეთი შეზღუდვა ეწინაღმდევება თვოთონ კონსტიტუციის პრინციპებს, რადგან ამით იღანება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ [9].

ამასთან, „საქართველოს კონსტიტუცია, – (მუხლი 39), – არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“ [9].

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი თანამდებობის დასაკავებლად – იქ სადაც ტარდება არჩევნები (ან კონკურსი) დაუშვებელია, რომ აეკრძალოს პიროვნებას მასში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმის გამო, რომ ამ თანამდებობაზე ის უკვე დყო არჩეული ორჯერ.**

მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსტიტუციის (მუხლი 70, პუნქტი პირველი) თანახმად:

„1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ“ [9].

ამრიგად, ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციაში, ისევე, როვორც სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, ადგილი აქვს კონსტიტუციით ”დაკანონებულ“ ანტიკონსტიტუციურობას, რამეთუ ილახება ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

**არჩევნები ხომ სწორედ იმიტომ ტარდება, რათა გამოვლენილი იქნეს მასში მონაწილეობა შორის საუკეთესო. და თუ პიროვნება თავისი შემოქმედებითი აზროვნებით, კვალიფიკაციით, ორგანიზატორული უნარით და ა.შ., ჯობის თავის კონკურენტებს, მაშინ რატომ უნდა აეკრძალოს მას არჩევნებში მონაწილეობა და პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება?!**

**ეს ხომ არა მარტო ლაპავს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებს, თავისუფლებებს და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრუქტურულ შეცდომას წარმოადგენს, რამეთუ ასეთი ქმედებით საბოლოო ჯამში საზოგადოება და სახელმწიფო ზიანდება.**

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციიდან (მუხლი 70, პუნქტი პირველი) ამოღებული უნდა იქნეს სიტყვები: „ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ“.

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით“.

თუმცა, ჩემი წინადადება იმის შესახებ, რომ მოიხსნას სახელმწიფოს კონსტიტუციით (სახელმწიფოთა კონსტიტუციებით) გათვალისწინებული ანტიკონსტიტუციური შეზღუდვა, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს (და საერთოდ სახელმწიფოთა პრეზიდენტებს) ეკრძალება მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ამ თანამდებობაზე ზედიზედ ორჯერ არჩევის შემდეგ, ნაკარნახევია მხოლოდ სამართლიანობისა და კონსტიტუციურობის

პრინციპით, და არა ამა თუ იმ კონკრეტული პირის ინტერესებით, ანუ ჩემი წინადაღება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არჩეული იქნება სახელმწიფოს პრეზიდენტის თანამდებობაზე, მუსხლავად მისი დამსახურებისა თუ დაუძისახურებლობისა სამუდამოდ უნდა დარჩეს ამ პოსტზე.

პირიქით, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირათა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [8] საქართველოს კონსტიტუციაში (და საერთოდ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში) შეტანილი უნდა იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელთა თანახმად უნდა განისაზღვროს პრეზიდენტის უძრავი პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს მის უფლებებთან.

კერძოდ, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს გარევული ვადა (მაგალითად, ერთი ან ორი წელი), რომლის გასვლის შემდეგ პრეზიდენტი ავტომატურად კარგავს თავის სტატუსს, თუ სახელმწიფოში ყველა მოქალაქე არ იქნა უზრუნველყოფილი საარსებო მინიმუმით მაინც, რომელიც უნდა შეიცავდეს არა მარტო კეთის, ტანსაცმლის, ბინის ხარჯებს, კომუნალურ გადასახადებს, არამედ უნდა შეიცავდეს აგრეთვე ადამიანის და მისი ოჯახის არსებობისათვის საჭირო მოელ კომპლექსს, მათ შორის, სამედიცინო უზრუნველყოფას, წამლების ხარჯებს, მინიმალური ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკამაყოფილებისათვის საჭირო ხარჯებს და ა.შ.

აღნიშნული წინადაღების საფუძვლიანობა დასტურდება იმითაც, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (10 დეკემბერი, 1948 წ.) თანახმად (მუხლი 23, პუნქტი 3) „ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯველოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის...“ [10, გვ. 12].

ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 15): „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“ [9].

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში“ [10, გვ. 12].

ამრიგად, პრეზიდენტმა, როგორც კონსტიტუციის გარანტმა, სახელმწიფოში უნდა უზრუნველყოს პირობების შექმნა ყოველი ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა დატოვოს პოსტი ყოველგარი რევოლუციებისა და იმპირიზმების გარეშე.

\* \* \*

პრეზიდენტმა ავტომატურად უნდა დაკარგოს თავისი სტატუსი აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ის ხელს მოაწერს და გამოაქვეყნებს ანტიკონსტიტუციურ კანონს ან სხვა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტს, რამეთუ ეს წარმოადგენს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებას, რომლითაც იღაახება ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებები, თავისუფლებები და ინტერესები.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პრეზიდენტის სტატუსის შეწყვეტის შეძლევ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხი (თუ კერ კიდევ მანამდე თვითონ – თავისი ინიციატივით – საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რაც მის მოვალეობას წარმოადგენს – მის მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს).

და თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადასტურდა აღნიშნული სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ანტიკონსტიტუციურობა, მაშინ ძალაში რჩება პრეზიდენტის უფლებამოსილების ავტომატურად შეწყვეტა [4, გვ. 64-74].

## ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძვლი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 352 გვ.

2. კურატაშვილი ალფრედ. “დემოკრატია” – მკვდრადდაბადებული “პოლიტიკური მოდა”, რომელიც განუხორციელებადია (?!) (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2010. – 176 გვ.

3. კურატაშვილი ალფრედ. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პრობლემა: როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პრეზიდენტის უფლებამოსილება და ვინ უნდა ირჩევდეს პრეზიდენტის?! საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2017, №3-4. სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2017. – გვ. 81-87.

4. კურატაშვილი ალფრედ. ო ცვლილებებია აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციაში და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში?! „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2010. – 84 გვ.

5. კურატაშვილი ალფრედ. ადამიანის უფლებები და ხალხის ეკონომიკური გადარჩენის თეორიები. ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური გენოციდი: მისი აღმოფხვრის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გზები და მექანიზმები (მონოგრაფია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 400 გვ.

6. შადური В. Ленинградский университет и деятели грузинской культуры. Тбилиси: Издательство «Мерани», 1968. – 76 с.

7. კურატაშვილი ალფრედ. პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები. მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 720 გვ.

8. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძვლი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

9. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

10. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1992.

[http://www.parliament.ge/files/stajireba\\_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc](http://www.parliament.ge/files/stajireba_2012/kanonebi/1948-adamianis-uflebata-sayoveltao-deklaracia.doc)

უაგ 1+32+33+34+35

### **ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

იურიდიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
(სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), საჯარო სამართალი),  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი”-ს და საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები”-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი,  
სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი,  
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და იურიდიულ  
მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდგილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

## **სახელმწიფო მართვის**

### **სამართლებრივი უზრუნველყოფა – ხალხის ინტერესების უზრუნველყობის თეორიის კრატიკული რეალიზაციის აუცილებელი საშუალებაა!!!**

სახელმწიფო მართვის უმთავრესი პრობლემა და დანიშნულებაა –  
ემსახუროს ხალხს – ხალხის ინტერესების რეალიზაციას!!!

ამასთანავე, სრულიად უდავოა, რომ სახელმწიფოს ეფექტური მართვა  
შეუძლებელია მისი სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე.

თუმცა განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში და  
სახელმწიფოში უმთავრესი და უზენაესია ადამიანის – ხალხის – ინტერესები,  
რომელსაც ემსახურება (რომელსაც უნდა ემსახურებოდეს) სახელმწიფო მართვა  
– კანონის (სამართლებრივი აქტების), როგორც ხალხის ინტერესების  
რეალიზაციის აუცილებელი საშუალების გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, სრულიად უდავოა, რომ საზოგადოებაში და  
სახელმწიფოში უზენაესობას ფლობს – უზენაესობას უნდა ფლობდეს –  
ხალხის ინტერესები, რამეთუ სახელმწიფო მართვის და მისი სამართლებრივი  
უზრუნველყოფის დანიშნულებაა – ემსახუროს ხალხის ინტერესებს,  
ემსახუროს ხალხის ინტერესების უზენაესობას, და არა – პირიქით.

ამრიგად, თუმცა ცხადზე ცხადია, რომ უკანონობასთან შედარებით კანონს  
უდავოდ უნდა ჰქონდეს “უზენაესობა”, მაგრამ საზოგადოებაში და  
სახელმწიფოში უზენაესობა უნდა ჰქონდეს არა კანონს, არამედ ხალხის  
ინტერესებს!!!

მაშასადამე, სრულიად უსაფუძლოა იმის გაფიქრებაც კი, რომ თითქოს  
ხალხის ინტერესების უზენაესობა წინააღმდეგობაშია სახელმწიფო მართვის  
სამართლებრივ უზრუნველყოფასთან, რამეთუ სახელმწიფო მართვა და მისი  
სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს მხოლოდ ხალხის ინტერესების  
უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას.

\* \* \*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად ისმის კითხვები:

ნუთუ მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა შორის ვინმესთვის ძნელი გასაგები უნდა იყოს, რომ სახელმწიფო და, შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება არსებობს და ფუნქციონირებს ხალხისთვის – ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის?!

და ნუთუ ეჭვს უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოში იქმნება და არსებობს კონსტიტუცია, სხვა კანონები და, საერთოდ, სამართლებრივი აქტები სწორედ ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის?!

ნუთუ ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ თიოთქოს ადამიანები იქმნებიან, იბადებიან და არსებობენ – ცნოვრობენ – კანონებისათვის?!

და რადგან არცერთი მეტ-ნაკლებად ნორმალურად მოაზროვნე – თუნდაც საშუალო განათლების ძქონე – ადამიანი (რომელიც სკლეროზით არ არის დაავადებული) არავითარ შემთხვევაში არ ჩათვლის, რომ თიოთქოს ადამიანი – საზოგადოება და სახელმწიფო – არსებობს კანონისათვის, და არა – პირიქით, სრულიად ლოგიკურად გაკვირვებას იწვევს, როდესაც მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები მთელ “ცივილიზებულ” მსოფლიოში “უდავოდ” “მიიჩნევენ” და უსიტყვოდ აღიარებენ სახელმწიფოში – “კანონის უზენაესობას” (?!).

ზემოაღნიშნულ – აშკარად მცდარ და სრულიად უსაფუძვლო, მაგრამ “ტრადიციად” დამკვიდრებულ – “კანონის უზენაესობას” თუ “დავეთანხმებით”, მაშინ გამოდის, რომ თიოთქოს სახელმწიფოს მართვაც უნდა განხორციელდეს კანონებისათვის, ანუ საშუალებებისათვის, და არა სოციალური მიზნისათვის – არა ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის (?!).

გასაგებია, რომ საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებულ „აზრს“ – ფაქტობრივად კი – უაზრობას, რომელსაც “კანონის უზენაესობას” უწოდებენ, ადამიანები, აღმართ დაუკვირვებლად, “მექანიკურად” იმეორებენ, მაგრამ – ეს ხომ სრული აბსურდია (?!).

ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ იმეორონ ტერმინი – “კანონის უზენაესობა”, ჩემი რჩევა იქნებოდა მეცნიერების სფეროს წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსებისადმი, რომ ისინი საფუძვლიანად გაეცნონ და ღრმად შეისწავლონ ჩემს მიერ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია [1; 2; 3, გვ. და სხვა], რის შემდეგაც, ყველა პიროვნება, ვინც კარგად გაიგებს და გაცნობიერებს აღნიშნული თეორიის არსეს, ვეღარ დარჩება უაზრო და დაუსაბუთებელი “კანონის უზენაესობის” “პროპაგანდისტად” (?!).

დავას არ უნდა იწვევდეს, რომ კანონი არის და ყოველთვის უნდა იყოს მხოლოდ მიზნის მიღწევის – ხალხის ინტერესების რეალიზაციის – აუცილებელი საშუალება, რომ კანონი არის მხოლოდ მიზნის მიღწევის აუცილებელი ინსტრუმენტი, და არა თვითმიზანი.

შესაბამისად, დავას არ უნდა იწვევდეს ის, რომ ყველაფერი – ყველა საშუალება – საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ზალხის ინტერესების რეალიზაციას, როგორც განმსაზღვრელ და უზენაეს მიზანს.

მაშასადამე, არცერთ საშუალებას, და, მთ შორის, არც კანონს, რომელიც ზალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა ადამიანზე – ზალხზე, რამეთუ უზენაესობა ჰქეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს ადამიანს – ადამიანის ინტერესებს, ზალხის ინტერესებს.

ამრიგად, რეალურად ზალხის სამსახურში მყოფ სახელმწიფოში, უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ადამიანის – ზალხის – ინტერესებს, ანუ უზენაესობა ჰქეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს სოციალურ – ჰქონის სოციალურ – მიზანს, რომლის რეალიზაციისთვისაც, როგორც მე ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებულ სამუცნიერო ნაშრომში აღვნიშნავდი, ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი გამორიცხავენ ანტისოციალურ, ანტიპუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს [4, გვ. 93].

\* \* \*

მოცემული კვლევის პრობლემასთან დაკავშირებით, მე წლების წინ აღვნიშნავდი, რომ: “უზენაესობა ჰქეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში – საზოგადოებაში და სახელმწიფოში, რომელიც ყოველი ადამიანის ინტერესებს – ზალხის ინტერესებს ემსახურება, უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ადამიანის ინტერესებს – ზალხის ინტერესებს, და არა კანონს, რამეთუ კანონი უნდა განიხილებოდეს როგორც საშუალება, როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის ინსტრუმენტი.

უფრო მეტიც, კანონი ნებისმიერ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში – არის მხოლოდ მიზნის რეალიზაციის საშუალება ან საშუალებათა ეკონომიკური თვითმიზნის რეალიზაციის საშუალება, ე.ი. ნებისმიერ შემთხვევაში კანონი არის საშუალება.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ცივილიზაციულ სამყაროში კანონის უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში ითვლება საყოველთაოდ მიღებულ და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპად, რაც წარმოადგენს სიღრმისეულად მცდარ მიღვომას, რამეთუ კანონი უნდა ემსახურებოდეს ადამიანს, და არა ადამიანი – კანონს.

მაშასადამე, თუმცა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნორმალური და ეფუქტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენების გარეშე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კანონი შეიძლება დავაყენოთ ადამიანის ინტერესებზე – ზალხის ინტერესებზე – მაღლა” [2, გვ. 113-114].

ამასთანავე, კანონის უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში ნიშნავს სწორედ იმას, რომ თითქოს კანონს აქვს უზენაესობა ადამიანზე – რომ თითქოს კანონს აქვს უზენაესობა ზალხზე (?!).

“ხოლო თუ კანონის უზენაესობაში იგულისხმება, რომ კანონი ემსახურება ზალხის ინტერესებს, მაშინ უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის ინტერესებს – ზალხის ინტერესებს, და არა კანონს, რამეთუ კანონის უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში პირდაპირ და უშუალოდ ნიშნავს კანონის უზენაესობას

ადამიანზე – ნიშნავს კანონის უზენაესობას ხალხზე, რასაც არ შეიძლება ჰქონდეს არავითარი გამართლება.

მაშასადამე, საზოგადოებაში და სახელმწიფოში კანონის უზენაესობის შემთხვევაში, კანონი ბატონობს ადამიანზე – კანონი ბატონობს ხალხზე.

ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ხალხზე ბატონობს სახელმწიფო ხელისუფლებაც, რომელიც ღებულობს კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, და აგრეთვე აკონტროლებს მათ აღსრულებას, და რომელსაც ზოგჯერ შეუძლია მიიღოს ისეთი კანონები, და შეუძლია მიითხოვოს ისეთი კანონების აღსრულება, რომლებიც არა მარტო არ იქნება ხალხის საშასხურში, არამედ გამოყენებული იქნება როგორც ხალხის ძარცვისა და დამოუხის საშუალება, გამოყენებული იქნება როგორც ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი გენოციდის საშუალება” [2, 114-115].

აქვე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო შემდეგი:

“კანონებს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში არა მარტო იმიტომ, რომ ზოგჯერ ღებულობენ და ფუნქციონირებს ისეთი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და ინტერესებს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კანონები იქმნება და ფუნქციონირებს ადამიანისათვის (ხალხისათვის), და არა ადამიანი იბადება და ცხოვრობს კანონებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული შეიძლება გამოხატული იქნეს ჩემს მიერ შემუშავებული შემდეგი ფორმულით:

ადამიანის ინტერესების უზენაესობა:

ა (ადამიანი) – ბ (კანონი) – ა (ადამიანი),

და არა კანონის უზენაესობა:

ბ (კანონი) – ა (ადამიანი) – ბ (კანონი),

რამეთუ კანონი უნდა ემსახურებოდეს ადამიანს,

და არა ადამიანი კანონს.

ზემოთ მოყვანილი ფორმულა თვალისათვის უჩვენებს, რომ კანონი იქმნება ადამიანის მიერ თვითონ ადამიანის ინტერესების რეალიზაციისათვის, ე.ი. ეს ფორმულა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონი არის მხოლოდ ადამიანის ინტერესების რეალიზაციის საშუალება, და ამიტომ კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა ადამიანზე.

მაშასადამე, ყველა კანონი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი საზოგადოებაში და სახელმწიფოში კიდევაც რომ ემსახურებოდეს ყოველი ადამიანის ინტერესებს – ხალხის ინტერესებს, მაშინაც კი ისინი (კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები) დარჩებოდა მხოლოდ ადამიანის ინტერესების რეალიზაციის საშუალებებად – დარჩებოდა მხოლოდ ხალხის ინტერესების უზენაესობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებებად” [2, გვ. 161-162].

ამრიგად, “ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია სულაც არ ამართლებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს საზოგადოებაში და სახელმწიფოში.

უფრო მეტიც, ხალხის ინტერესების უზენაესობა უნდა ხორციელდებოდეს კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების – როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის აუცილებელი საშუალებების – მეშვეობით, რამეთუ უკანონობას არანაირად არ შეუძლია მივიყვანოს ხალხის ინტერესების – როგორც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი (უზენაესი) მიზნის – რეალიზაციამდე” [2, გვ. 126].

მაშასადამე, “როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ არა კანონის უზენაესობით, არა საშუალებათა უზენაესობით, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის უზენაესობით, ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობით” [2, გვ. 152].

\* \* \*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ კანონის უზენაესობით, არამედ როგორც მე ადრეც ვამახვილებდი ამაზე ყურადღებას, არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ აგრეთვე “სამართლის უზენაესობით, რამეთუ სამართლის უზენაესობა ისევე გაუმართლებელია, როგორც გაუმართლებელია კანონის უზენაესობა, რადგან “სამართალი არის ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრული ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწევრიგების სისტემა, რომელსაც ახასიათებს ნორმატიულობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სისტემურობა და მათი შესრულება სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით არის უზრუნველყოფილი” (სამართალი).

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98>), ხოლო სამართლის უზენაესობა არის “სამართლებრივი დოქტრინა, რომლის თანახმად არავინ არ შეიძლება იყოს კანონზე მაღლა...” (Верховенство права).

<https://go.mail.ru/search?fr=ffhp1.0.4&sbmt=1500408486678&frm=main&gp=818404&q=%D0%B2%D0%B5%D1%80%D1%85%D0%BE%D0%B2%D0%B5%D0%BD%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B0+%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BD%D0%BC>, ანუ სამართლის უზენაესობა – ეს ისევ კანონის (სამართლებრივი ნორმების), ანუ საშუალებათა უზენაესობაა საზოგადოებაში და სახელმწიფოში

მაშასადამე, უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ადამიანის – ხალხის – ინტერესებს, მაგრამ ამ ინტერესების რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს არა უბრალოდ კანონის, და არა უბრალოდ სამართლის – სამართლებრივი ნორმების – გამოყენებით, არამედ ეს უნდა ხდებოდეს მხოლოდ სამართლიანი კანონების გამოყენებით, რამეთუ სამართლიანობის დაცვა – ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია არის რევოლუციურად ახალი თეორია, რომელიც რადიკალურად განსხვავდება, როგორც კანონის უზენაესობისგან, ისე სამართლის უზენაესობისგან” [7, გვ. 238].

\* \* \*

რაც შეეხება ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკულ რეალიზაციას, ის შეუძლებელია სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე, მაგრამ ხალხის ინტერესების უზენაესობის რეალიზაციის აუცილებელ თეორიულ-ინტელექტუალურ საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია [8; 9; და ა.შ.], რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას სათანადო სამართლებრივი მექანიზმები, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი სამართლიანობის დამკვიდრება და ხალხის ინტერესების უზენაესობის რეალიზაცია მხოლოდ ცრუ ლოზუნგად დარჩება.

\* \* \*

**დასკვნა:** ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია წარმოადგენს რევოლუციურად ახალ მეცნიერულ მიმართულებას ფილოსოფიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სახელმწიფო მართვის მეცნიერებებში, რომელიც გამომდინარეობს ჩემს მიერვე შექმნილი სტრატეგიული მეცნიერული მიმართულებებიდან – მიზნის ფილოსოფიიდან და სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან, და არა ფილოსოფიიდან, რომელსაც მე საშუალებათა ფილოსოფიას ვუწოდებ [5; 6; და სხვა].

## ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია. ჭეშმარიტად აღამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მეცნიერული მიმართულება (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 76 გვ.

2. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად აღამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 336 გვ.

3. კურატაშვილი ალფრედ. პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები. მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად აღამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 720 გვ.

4. კურატაშვილი ალფრედ. მიზნის ფილოსოფია – საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივა (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 100 გვ.

5. კურატაშვილი ალფრედ. მიზნის ფილოსოფია – საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივა (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 100 გვ.

6. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად აღამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 352 გვ.

7. კურატაშვილი ალფრედ. ჰუმანისოციალური სახელმწიფოს და მისი სამართლებრივი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები. სახელმწიფო მართვის რევოლუციურად ახალი – სოციალურად გამზნული ფილოსოფიური, სამართლებრივი და პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული თეორიები (მონოგრაფია ქართულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2017. – 432 გვ.

8. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფუქტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997. – 76 გვ.

9. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – აღამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – 256 გვ.

УДК 1+32+33+34+35

**Альфред Анзорович Кураташвили (Тбилиси, Грузия)**

Доктор экономических, философских и юридических, наук, профессор в области общественных наук, Президент Международной Академии социально-экономических наук, Президент Международной Академии Политического менеджмента и Президент Международной Академии Юридических наук, Действительный член Нью-Йоркской Академии наук, Академик Академии политических наук США, Член Федерации журналистов

**ЧИСТО ЭКОНОМИЧЕСКОЕ МЫШЛЕНИЕ  
ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ СФЕРЫ НАУК  
(прежде всего, сферы экономических наук)  
И СФЕРЫ ПОЛИТИКИ – ЭТО  
«ИНФЕКЦИОННАЯ» «БОЛЕЗНЬ»,  
«ОТРАВЛЯЮЩАЯ»  
ГОСУДАРСТВЕННУЮ ПОЛИТИКУ И  
ОБЩЕСТВЕННУЮ ЖИЗНЬ,  
И ПРИВОДЯЩАЯ К СТРАДАНИЯМ  
МИЛЛИОНОВ ЛЮДЕЙ (?!)**

**Влияние капитализма –  
как проявление  
экономического фашизма (?!)**

**Чисто экономическое мышление свойственно сущностной природе истинного капитализма, в котором господствуют – деньги, рынок, прибыль, капитал над человеком, в котором господствует экономическая самоцель средств, что является проявлением именно истинного капитализма – как экономического фашизма (?!).**

**Следовательно, Капитализм – это «уродливое» прошлое человечества, которое еще нужно «преодолеть» (?!).**

**Хотя вышеотмеченное вовсе не означает, что будто бы я являюсь сторонником так называемого «научного», но на самом деле утопического – явно неосуществимого – марксистско-ленинского «социализма» (?!).**

**Наоборот, в действительности, я являюсь создателем революционно новых теорий – Теории Истинно человеческого общества и Теории Истинно человеческого государства [1; 2; 3; и др.], я являюсь создателем и сторонником своего собственного «изма» – Альфредизма или Кураташвилизма [4, с. 92; и др.], т.е. являюсь создателем революционно нового научного направления – являюсь создателем революционно новых научных направлений, и являюсь инициатором практического построения на их основе Истинно человеческого общества и государства!!!**

«В связи с проблемой “изм”-ов, - как я отмечал и ранее, - следует особо учесть, что необходимо выступать против безоговорочной капитуляции перед каким-либо «изм»-ом, необходимо выступать против монополии одного какого-либо “изм”-а – против господства одного «изм»-а в науке, а не против «изм»-ов вообще, ибо это было бы равнозначно отказу от творческого развития науки, и, соответственно, было бы равнозначно отказу от развития общества и государства [4, с. 93; и др.].

Таким образом, я являюсь автором Теорий общества и государства, служащего не интересам экономической цели – служащего не интересам экономической самоцели средств, а общества и государства, нацеленного на реализацию интересов народа, служащего интересам каждого человека, т.е. служащего социальной – гуманносоциальной – цели, для достижения которой, как я отмечал еще в 1980 году, все пути, формы и методы оправданы, если они исключают антисоциальные, антигуманные, антинравственные явления [5, с. 93; и др.].

Притом, создание и эффективное функционирование Истинно человеческого общества, государства и человечества в целом в интересах каждого Человека, и практическая реализация социальной – гуманносоциальной – цели возможна лишь на основе созданных мной же:

Философии социальной цели [4; и др.], Теории верховенства интересов народа [6; и др.] и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [7; и др.].

\* \* \*

Что касается политики государства в области экономики, необходимо отметить, что политика государства, служащего интересам народа, должна быть не результатом проявления чисто экономического мышления, должна быть не чисто экономической политикой, подчиненной – деньгам, рынку, прибыли, капиталу, должна быть не проявлением чисто экономической сущностной природы капитализма – как экономического фашизма, а должна быть социально-экономической политикой, должна быть политикой, нацеленной на реализацию социальной – гуманносоциальной – цели, и учитывающей экономические средства ее реализации.

Таким образом, экономическая политика государства должна быть именно социально-экономической политикой, основанной на созданных мной – Философии социальной цели, Теории верховенства интересов народа и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц.

Принципиально важно отметить, что, по моему глубокому убеждению, экономическую политику государства должны определять не «экономисты» в узком понимании, для которых главным критерием эффективности является получаемый доход, выраженный в экономических показателях – в количестве денег, в прибыли и т.д., а должны и могут определять – политко-экономы (политэкономы), притом должны определять творчески мыслящие политко-экономы – политэкономы, которые по своему мышлению, по своим знаниям и по своей реальной квалификации являются также социальными философами и юристами – являются юристами, прежде всего, в области Теории, в области Конституционного права и в области Прав человека, и деятельность которых посвящена реализации интересов Человека – реализации интересов народа.

**Следовательно, экономическую политику государства – так же, как и политику управления обществом и государством – должны определять учёные, для которых главным критерием эффективности экономики, бизнеса и государственного управления – определяющим критерием эффективности в Истинно человеческом обществе и государстве вообще, в соответствии с созданными мной теориями, является реализация социальной цели!!!**

\* \* \*

В связи «с порочным» чисто экономическим мышлением некоторых представителей сферы наук (прежде всего, сферы экономических наук) и сферы политики, необходимо отметить, что это именно «инфекционная» «болезнь», «отравляющая» государственную политику и общественную жизнь, и приводящая к страданиям миллионов людей (?!).

Притом, чисто экономическое мышление представляет собой именно проявление сущностной природы капитализма – представляет собой проявление экономического фашизма (?!).

\* \* \*

Чем же является, если не проявлением чисто экономического мышления – если не экономическим фашизмом, *например*, допущение и функционирование в обществе и в государстве азартных «игр» – так называемого «игорного» (явно преступного) бизнеса – ради получения денег, ради получения все большей прибыли, ради достижения чисто экономической цели – за счет мошеннического ограбления и уничтожения огромного количества людей (?!).

**Следовательно, в условиях допущения и функционирования в обществе и в государстве азартных так называемых «игр» – в условиях допущения и функционирования в государстве «игорного» бизнеса, являющегося преступлением против человечности, фактически имеет место «пожертвование» людьми ради достижения чисто экономической цели – ради денег, ради прибыли, ради капитала, что, без всякого сомнения, является проявлением истинного капитализма – является проявлением экономического фашизма (?!).**

И здесь возникает вопрос:

**Неужели можно считать «учёными» тех лиц, которые не только не создали и не могут создать ничего принципиально нового – международно значимого – в науке, но и мозги которых находятся в состоянии «затмения» под влиянием чисто экономического мышления, свойственного сущностной природе истинного капитализма, и приводящего к экономическому фашизму (?!).**

**И неужели должно быть место в науке подобным «представителям» сферы науки, находящимся в плена чисто экономического мышления, которые «ищут» «опровержение» преступлению против человечности –**

**«ищут» «оправдание» азартным «играм» в том, что эти так называемые «игры» «пополняют» государственный бюджет (?!).**

Удивительно, но факт (?!).

**В заключение считаю необходимым отметить, что, по моему глубокому и научно обоснованному убеждению, «творцам» и сторонникам преступных деяний – «творцам» и сторонникам преступлений против человечности, не должно быть места в обществе и в государстве, а тем более, не должно быть места в науке и в политике (?!).**

\* \* \*

И в конце, в отношении представителей сферы науки, считаю необходимым отметить следующее:

**Чтобы иметь моральное право возражать мне и выступать против моих революционно новых теорий, самому надо быть истинным ученым – надо быть создателем международно значимых принципиально новых научных направлений, принципиально новых научных теорий и т.д., а не «интеллектуальным» «импотентом» и «механическим» «пересказчиком» чужих идей.**

#### ЛИТЕРАТУРА

- 1. Кураташвили Альфред А. Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества.** Труды Грузинского технического университета, 1998, №3 (419). Тбилиси: Издательство "Технический университет", 1998.
- 2. Кураташвили Альфред А. Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества.** Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, 1999, №1-2. Тбилиси: "Мецниереба", 1999.
- 3. Кураташвили Альфред А. Альтернативное представление об ориентации общества и государства.** Bulletin "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, 1999. New York, USA.
- 4. Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 352 с.
- 5. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры.** Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1980. – с. 79-104.
- 6. Кураташвили Альфред А. Теория верховенства интересов народа. Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 336 с.
- 7. Кураташвили Альфред А. Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 256 с.

УДК 332.1

